ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 21 ოქტომბერი, 2011 №250 (5630) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+
ჩარლი ჩაპლინი
8 ლარი
11 ოქტომბრიდან




# ივანიშვილმა ელჩებს სააკაშვილის ჩანაცვლების გეგმა გაანდო გვ.2



ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები დიპლომატებთან კიდევ გაგრძელდება



## კვეზერელი მოხსნეს, ვინ იქნება შემდეგი

გვ.2



## ნესტან კირთაძემ ლეიბორისტები დატოვა

გვ.5

## საქართველოს მოქალაქეობას ებრალიძეც ითხოვს

გვ.6





## „ივანიშვილისგან შეშინებული დეპუტატები კაბინეტებიდან აღარ გამოდიან“

დეპუტატი ცაგარეიშვილი პატიმრებისა და მათი ოჯახების ბოლო იმედად იქცა

გვ.3

## გიორგი ქადაგიძე: ეროვნულ ბანკს საქართველოს ბანკთან პრეტენზია არა აქვს გვ.3



## დიმიტრი გვინდაძე: საქართველო მოსალოდნელი ფინანსური კრიზისისგან 100 პროცენტით არის დაცული

გვ.5



## პროკურატურა საბანკო ანგარიშებს გააკონტროლებს

გვ.4

## თავისუფალი დემოკრატები ირაკლი ჩიქოვანის საქმიანობის შესწავლას ითხოვენ

გვ.5

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

4 გიორგი გაჩეჩილაძე: მომავალ არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას 5%-იანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდება

5 საპარლამენტო უმრავლესობას დაშლა ემუქრება

6 არასამთავრობოები ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენას ითხოვენ

7 ხელისუფლებისა და ივანიშვილის „ნოკაუტისთვის“ გადანახული ილეთები

# კვეზერელი მოხსნეს, ვინ იქნება შემდეგი

თეა მარხვაიძე

**კვირის დასაწყისში ხმა გავარდა, რომ ამ დღეებში მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდებოდა. სახელისუფლებო კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ბაკურ კვეზერელი უნდა შეეცვალათ. ითქვა ისიც, რომ მას სამეგრელოში პრეზიდენტის რწმუნებული ზაზა გოროზია შეცვლიდა.**

თავიდან ეს ინფორმაცია ჭორად მონათლეს. ბაკურ კვეზერელის მოხსნასთან დაკავშირებულ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჭორი უწოდეს. ინფორმაციის სანდოობაში ეჭვი სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც შეიტანა.

გავიდა რამდენიმე დღე და ეს ცვლილება განხორციელდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბაკურ კვეზერელი ზაზა გოროზიამ შეცვალა.

სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ სააკაშვილი ზაზა გოროზიას მინისტრად გადმოყვანას აპირებდა. ის პრეზიდენტის დავალებებს კარგად ასრულებდა. თუმცა როგორც ამბობენ, მას ახალაიების კლანთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა.

პორტალმა „თავისუფალი სიტყვა“ გაავრცელა საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია. პორტალის ცნობით, ბაჩო ახალაიას ზაზა გოროზია შემოელახა. და თან ისე, რომ აწ უკვე ყოფილ გუბერნატორს ლოლნაშოები ეხატა სახეზე. ხელისუფლებამ ამ ცნობას მცდარი უწოდა.

იგივე ხალხი იმასაც ამტკიცებდა, კვეზერელს არ ვცვლითო, მაგრამ შეცვალეს. რითაც ალბათ ძალიან გაახარეს ქრისტიან-დემოკრატები. კონსტრუქციული ოპოზიცია უკვე დიდი ხანია მისი პასუხისმგებლობის საკითხს სვამს.

ამბობენ, რომ კვეზერელი მას შემდეგ გაწირეს, რაც სიმინდის პროგრამა ჩავარდა. ყველას გეცოდინებათ, რა ამბები იყო ჰიბრიდულ სიმინდზე. გლეხებს ეს სიმინდი სულ ძალად დაათესინეს. უმეტეს ადგილებში სიმინდის მოსავალი არ მოვიდა. ხელისუფლება ამას ხმამაღლა არ აღიარებს, მაგრამ ამაზე დიდი ამბები ყოფილა.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი ბაკურ კვეზერელის თანამდებობიდან გათავისუფლებას მთავრობის სამოქმედო სტრატეგიას უკავშირებს და არა რომელიმე კონკრეტულ პროგრამას. ხუროშვილი მზადაა დაიფიცოს, რომ კვეზერელის მოხსნა ჰიბრიდული სიმინდის ბრალი არაა.

— მთავრობაში მინისტრების შეცვლა არ არის სიახლე, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში არაერთხელ მომხდარა მოთამაშეთა გადანაწილება სხვადასხვა პოზიციებზე იმ სტრატეგიიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელიც ქვეყანაში არსებობს. ბაკურ კვეზერელის თანამდებობიდან გათავისუფლება არის მთავრობის სამოქმედო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი. — განაცხადა გია ხუროშვილმა.

სოფლის მეურნეობის უკვე ყოფილი მინისტრი ბაკურ კვეზერელი საქმიანობის გაგრძელებას ისევ ამ სფეროში აპირებს.

— ჩემს ცოდნას, ენერგიას და გამოცდილებას მომავალშიც საქართველოს სოფლის მეურნეობას მოვახმარ. რა ფორმით, ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება, — კვეზერელის ეს განცხადება სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა.

ოპოზიცია ამ განცხადებამ ძალიან გაახალისა. მთელი ამ ხნის მანძილზე ოპოები სულ კვეზერელის ცოდნაზე კაიფობდნენ. ტერმინი ქალი ძროხა კი მათი მეხსიერებიდან არასდროს არ ამოვა.

არადა, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ეს ფრაზა არა ბაკურ კვეზერელს, არამედ მის წინამორბედს ეკუთვნის. საუბარია პეტრე ცისკარიშვილზე. რომელიც ახლა უმრავლესობის ლიდერია.

მართალია ოპოზიცია კვეზერელს სოფლის მეურნეობის დარგში განათლებას უწუნებს, მაგრამ მთავრობა კმაყოფილია. 2 წლის წინ სააკაშვილმა ის ღირსების ორდენითაც კი დააჯილდოვა.

გუშინ კი კვეზერელი ნიკა გილაურმა დააჯილდოვა. ოღონდ მხოლოდ მადლობით. პრემიერმა კვეზერელს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მინისტრობის პერიოდში სოფლის მეურნეობის სფეროში წარმატებები იყო, თუმცა დადგა დრო, როცა საჭიროა ახალი.

ნიკა გილაურმა არ დააკონკრეტა, თუ სად გააგრძელებს კვეზერელი მუშაობას ან ვინ დაინიშნება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად. სავარაუდოდ, გოროზიას გუბერნატორის პოსტზე სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მისაბიშვილი შეცვლის.

დეპუტატი ჯონდი ბაღათურია კვეზერელის საქმიანობით უკმაყოფილო იყო. თუმცა ახლა რაღაცნაირად გული დასწყდა მასზე.

ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობის უკვე ყოფილმა მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა სოფლის მეურნეობის სისტემის დანგრევისათვის პასუხი უნდა აგოს. როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, მასთან ერთად პასუხი მთელმა მთავრობამ და პრეზიდენტმაც უნდა აგონ.

— კვეზერელი დაბალი ღობეა და ჯოხი მხოლოდ მასზე არ უნდა გადატყდეს. სოფლის მეურნეობის სისტემა მიზანმიმართულად, შეგნებულად დაანგრიეს და ამის შესახებ ინფორმაციას რიცხობრივად ხვალისთვის დაგეგმილ ბრიფინგზე წარმოვადგენ, — აღნიშნა ჯონდო ბაღათურიამ.

რაც შეეხება ამ თანამდებობაზე დანიშნულ, პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს სამეგრელო-ზემო სვანეთში ზაზა გოროზიას, დეპუტატს არ სურს იმის პროგნოზირება, თუ როგორ გაუძლვება იგი ახალ საქმიანობას. თუმცა აცხადებს, რომ ძველ თანამდებობაზე ყოფნისას იგი „წვრილი ფეოდალის“ როლში გვევლინებოდა.

— ზაზა გოროზიამ სამეგრელოში თავისი საფეოდალო შექმნა და გვევლინებოდა, როგორც შუა საუკუნეების ფეოდალი, რომელიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდა. რამდენად იზრუნებს ის სოფლის მეურნეობაზე, ამას დრო გვიჩვენებს, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

კვეზერელის მოხსნასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს „თავისუფალმა დემოკრატებმა“.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ალასანიამ აგვისტოში დააყენა კვეზერელის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რისი მიზეზიც იყო ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა სოფლის მეურნეობაში უკანასკნელი წლების განმავლობაში, სამინისტროს არაკომპეტენტურობისა და უპასუხისმგებლობის გამო.

— წლევანდელი სიმინდის მოსავალი იყო კატასტროფული. ჩვენ მივმართეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მიეღო ზომები ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხებისა და ფერმერების დასახმარებლად. დახმარების ნაცვლად, ხვნა–თესვის პერიოდში მათ გაუძვირეს გლეხებს სასუქი და იძულების წესით შეასყიდინეს ჰიბრიდული სიმინდი, — აღნიშნულია განცხადების ტექსტში.

„თავისუფალი დემოკრატები“ მიიჩნევენ, რომ მათმა ბრძოლამ ბაკურ კვეზერელის მოხსნით შედეგი ნამდვილად გამოიღო, თუმცა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა საკადრო ცვლილებამ, კერძოდ, კვეზერელის ზაზა გოროზიას კანდიდატურით ჩანაცვლებამ, ცხადყო, რომ ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს არა დაშვებული შეცდომების გააზრებას, არამედ აგონიურ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ მსხვერპლშეწირვას და კლანური აზროვნების მორიგ გამოვლინებას.

გია ხუროშვილის არგუმენტების მიუხედავად მუსირებს აზრი, რომ ეს საკადრო ცვლილება ივანიშვილის გააქტიურებას უკავშირდება. როცა რაღაცის გადაფარვა სჭირდებათ, ხელისუფლება ასეთ ეშმაკობებს მიმართავს. ანდა ჯაშუშებს გამოავლენს ხოლმე.

ივანიშვილის ამბის გადაფარვა კვეზერელის მოხსნით ვერ მოხდება. ამიტომ შესაძლოა სხვა ვინმე შეცვალონ.



ბაკურ კვეზერელი

მორიგ ცვლილებასთან დაკავშირებით გაავრცელა ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრმა. მათი ცნობით, მალე ციხეების მინისტრიც დატოვებს თანამდებობას. ხათუნა კალმახელიძის ადგილს კი გიორგი ღვინიაშვილი დაიკავებს, რომელიც კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულია.

ოპოზიცია სოფლის მეურნეობის ახალ მინისტრზე უკვე გულაცრუებულია. ზაზა გოროზიას სახელი არაერთ სკანდალში ფიგურირებს. ოპოზიცია ამბობს, რომ მისი თაოსნობით სამეგრელოში ხალხს მიწებს ართმევენ.

ზოგი ოპოზიციონერი იმედოვნებს, რომ ის უფრო კარგი მინისტრი იქნება. სხვა თუ არაფერი, კვეზერელზე უკეთ იცნობს სოფელს.

ზაზა გოროზია დაიბადა მარტვილის რაიონში 1975 წლის 11 თებერვალს. დაამთავრა მარტვილის მე-2 საშუალო სკოლა. 1992-1999 წლებში სწავლობდა თბილისის სამედიცინო აკადემიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, ჯანდაცვის მართვისა და ორგანიზაციის სპეციალობით.

2000-2001 წლებში მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტში სტაჟიორად, ხოლო შემდეგ გადაყვანილ იქნა კოლონიის მთავარ ექიმად. 2001-2002 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 2003 წელს მუშაობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წევრად.

2003-2005 წლებში მუშაობდა თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ჯერ უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ უფროსად. 2005 წლის ივლისიდან არის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი.

# ივანიშვილმა ელჩებს სააკაშვილის ჩანაცვლების გეგმა გააცნო

შალვა ჯოხაძე

## ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები დიპლომატებთან კიდევ გაგრძელდება

სააკაშვილის ხელის ბიჭებმა ბევრი იძახეს, ივანიშვილი რუსული პროექტიაო და საინტერესოა, ახლა რას ფიქრობენ. თუმცა, მათი ფანტაზია იმდენად უსაზღვროა, შესაძლოა, პუტინის კაცობა ბასსაც დასწამონ. თუმცა, ფაქტია, აშშ-ს ელჩი ჯონ ბასი, მასთან ერთად კი მთელი დიპკორპუსი დაირაზმა და ბიძინა ივანიშვილს ეახლა.

დიპლომატებმა ბიზნესმენის რეზიდენციაში მისვლა დაახლოებით 15:00 საათისთვის დაიწყეს. პირველები რეზიდენციასთან შვედეთის, თურქეთის და უკრაინის საელჩოს წარმომადგენლები გამოჩნდნენ, რამდენიმე წუთში კი მათ ბრიტანეთის, პოლონეთის, ნიდერლანდების, გაეროს, გერმანიის, შვეიცარიის, იტალიის, საფრანგეთის, უნგრეთის, იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები, აშშ–ს ელჩი ჯონ ბასი და ჩეხეთის ელჩი ივან იასტრჟები შეუერთდნენ. ბიზნესმენთან შეხვედრაზე მივიდნენ ენდიაი-ს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებიც.

ივანიშვილის რეზიდენციაში დიპკორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა დაახლოებით საათ-ნახევარი მიმდინარეობდა. შეხვედრის შემდეგ საელჩოების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან კომენტარი არ გააკეთეს.

თუმცა, რეზიდენციიდან გამოვიდა ინფორმაცია, რომ საუბარი ქვეყანაში არსებულ ვითარებასა და მოვლენების სავარაუდო განვითარებას შეეხო.

შეხვედრაზე იმყოფებოდა ბიძინა ივანიშვილის პირადი ადვოკატი ეკა ბესელიაც, რომელმაც დღის ბოლოს „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე ასეთი ჩანაწერი გააკეთა:

— ძალიან მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი იყო ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი პირველი შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან.

ეკა ბესელიას ტყუილად არ უხსენებია სიტყვა „პირველი“ რადგან, როგორც ირკვევა, შეხვედრისას შემდგომი თანამშრომლობის გზებიც დაისახა.



ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურმა შეხვედრის ამსახველი ვიდეოფრაგმენტიც გაავრცელა, რომელშიც ივანიშვილი აღნიშნავს, რომ ის და მისი გუნდი აპირებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროსტრუქტურებთან ურთიერთობა გააღრმავონ. თუმცა, ივანიშვილი იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ არც რუსეთის ფაქტორი უნდა მიივიწყოს.

**ბიძინა ივანიშვილი:**

— მე და ჩემი გუნდი ვაპირებთ, მომავალში გავაღრმავოთ ურთიერთობა აშშ-სთან. მადლიერი ვარ მისი თანადგომის. მადლიერი ვარ ასევე ევროპის და პრინციპული პოზიცია იქნება, გავაღრმაოთ თანამშრომლობა ევროსტრუქტრებთანაც. კარგად ვაცნობიერებთ, რომ აუცილებელია მყისიერად დავიწყოთ ურთიერთობა რუსეთთან. მოგეხსენებათ, საზოგადოებაში ტემპერატურა დღეს ძალიან მაღალია, ჩემი განცახდების შემდეგ. ჩემი მიზანია, ტემპერატურის დალეგურება, რომ არც ერთ შემთხვევაში არ მოხდეს ხალხის ქუჩაში გამოსვლა. ჩვენი მიზანია, როგორმე ყველა ძალა ვიხმაროთ, რომ ყველაფერი დარჩეს სამართლებრივ ჩარჩოებში და მხოლოდ არჩევნების გზით მოვახდინოთ მოქმედი ხელისუფლების ჩანაცვლება.

გავრცელებული ვიდეომასალის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-84-92-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ქადაგიძე: ეროვნულ ბანკს საქართველოს ბანკთან პრეტენზია არა აქვს

თეა მარხვაიძე

მშობლიურმა შს სამინისტრომ მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს გაავრცელა ინფორმაცია, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრების ბრალდებით რამდენიმე პირი დააკავეს. ამ ცნობას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა რაც გაირკვა, რომ ოპერაცია „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ ჩატარდა. ეს ბანკი კი ნაციონალების თავზე რისხვად დამტყდარი ივანიშვილის გახლავთ.

ეს ღონისძიება მაშინვე

— ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს არ იყო ორდინარული ოპერაცია. ორდინარული ოპერაცია არაა, როდესაც ბანკიდან ნაღდად ამ რაოდენობის ფული გაგაქვს. როდესაც გაქვს რაიმე პრობლემა, ამ პრობლემის საქმის კურსში უნდა იყოს ეროვნული ბანკი. ეს რომ ყოფილიყო ლარი, სხვა შემთხვევაა. ლარი, ზოგადად, თეორიაში უფრო ნაკლებ კითხვას ბადებს, — განაცხადა ქადაგიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, კომერციული ბანკების გამაგრების ოპერაციები ყოველთვის სებ-ის




პოლიტიკურ დევნად შეფასდა. შსს კი საპირისპიროს ამკიცებდა. შსს-ს ცნობით, მათ თან ჰქონდათ დიდი ოდენობით ნაღდი ფული. სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილითაა (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრება) აღძრული. ბანკი „ქართუს“ ინკასაციის მანქანა ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისთან დააკავეს. არსებული ინფორმაციით, ამოღებულია ერთი მილიონი ევრო და ორი მილიონი დოლარი.

აღნიშნულ ფაქტს ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო ბიზნესმენის წინააღმდეგ აგრესიულ და კრიმინალურ შეტევად აფასებს. დაკავებული იყვნენ „ბანკი ქართუს“ თანამშრომლები, მოლარეები — ინგა ჯავახია, ირმა ქეთიშვილი, ლია მაღრაძე, ნატო დავითულიანი, ინკასატორები — არჩილ ჯაფარაშვილი და ზაზა ყაველაშვილი. ისინი მოწმის სტატუსით დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

ბანკის თანამშრომლები მაშინ დააკავეს, როცა ისინი საქართველოს ბანკიდან გამოდიოდნენ.

გავრცელებული ცნობით, თავიდან „ქართუ ბანკში“ პროკურატურა უნდა შესულიყო. მერე იქ ეროვნული ბანკი შეუშვეს შესამოწმებლად.

ითქვა, რომ „ქართუს“ გამო შესაძლოა პრობლემები საქართველოს ბანკსაც შეექმნებოდა.

ამ მითქმა-მოთქმას წერტილი დაუსვა ეროვნული ბანკის პრეზიდენმა გიორგი ქადაგიძემ.

— ეროვნულ ბანკს „საქართველოს ბანკთან“ კითხვები არ აქვს. მასთან კითხვები ყველაზე ნაკლებია. „საქართველოს ბანკი“ იყო მხოლოდ ერთ-ერთი გამტარი რგოლი. თუმცა, თუ კითხვები გაჩნდება იმავე მიმართულებით, ჩვენც დავინტერესდებით, — განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ.

ამასთან, ქადაგიძე ამბობს, რომ „ქართუს“ მიერ განხორციელებული ოპერაცია არაორდინარული იყო.

უშუალო მონაწილეობით ხორციელდებოდა. „დღეს ჩვენ განვახორციელეთ ანალოგიური ოპერაცია — ეროვნული ბანკიდან „ქართუს“ სალაროს გამაგრების ოპერაცია. რა თქმა უნდა, მათ მიერ მოთხოვნილი თანხა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ეს რამდენიმე დღის წინ მოხდა. როგორ შეიძლება 3 დღის წინ ამდენი ფული გჭირდებოდეს და დღეს აღარ დაგჭირდეს. როცა გჭირდება ამ რაოდენობით უცხოური ვალუტა ნაღდად, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ბანკს პრობლემა აქვს. ეს არის ჩვეულებრივი შემოწმება. არანაირი საფუძველი გადაჭარბებული რეაქციებისა არ არსებობს. ერთადერთი საფრთხე არის ჩვენთვის ის, რომ ახალი ადმინისტრატორის მხრიდან არ მოხდეს საკითხის კიდევ უფრო პოლიტიზება. ეს ჩემთვის მიუღებელია“, — აღნიშნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

გიორგი ქადაგიძემ წლების წინ „სტანდარტ ბანკთან“ დაკავშირებული შემთხვევაც გაიხსენა. ეს ბანკი ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა. ბანკს პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც მან პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა და ხელისუფლებას დაუპირისპირდა.

— სტანდარტ ბანკის ისტორია თემის პოლიტიზების თვალსაზრისით ბანკ „ქართუს“ მაგალითს წააგავს, თუმცა, არავინ იხსენებს, როგორ დასრულდა ეს ამბავი. სელფორდ კაპიტალის ხელმძღვანელმა ირაკლი რუხაძემ მადლობა გადაუხადა სებ-ს კომპეტენტური ჩარევისთვის. ამიტომ, ჩემთვის მიუღებელია ნებისმიერი ფორმით ფინანსური სექტორის პოლიტიზება. საფინანსო და საბანკო სექტორი არის მნიშვნელოვანი ხერხემალი ეკონომიკის. ჩვენთვის დაუშვებელია, რომ ეს პროცესები რაიმე ფორმით დაუბრუნდეს წარსულს და დაემსგავსოს 90-იან წლებს, — განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკი ქართუ ბანკში მანამდე აპირებს დარჩენასსანამ ყველა კითხვას პაუხი არ გაეცემა. კითხვები კი ხელისუფლებას ბევრი აქვს. სინტერესო ის არის რატომ გაჩნდა ეს კითხვები მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკაში წავიდა.

# „ივანიშვილისგან შეშინებული დეპუტატები კაბინეტებიდან აღარ გამოდიან“

## დეპუტატი ცაგარეიშვილი პატიმრებისა და მათი ოჯახების ბოლო იმედად იქცა

შალვა ჯოხაძე

**დეპუტატი გია ცაგარეიშვილი პარლამენტში კაცს ვერ პოულობს, მის მიერ წარსადგენი კანონპროექტის შესახებ დეტალები რომ დააზუსტოს. ცაგარეიშვილის სიტყვებიდან გამომდინარე, ივანიშვილის ფაქტორმა ისე იმოქმედა, რომ დეპუტატები საქმეს სათოფეზე აღარ ეკარებიან. თუმცა, ის საკითხი, რომლის შესახებაც გია ცაგარეიშვილი მუშაობს, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. საუბარია ცოტა ხნის წინ „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე, რომელიც სასჯელების შეკრებითობის პრინციპზე უარის თქმას ეხება.**




შეგახსენებთ, რომ სასჯელების შეკრებითობის პრინციპი 2006 წელს შემოიღეს. ამ პრინციპით, რამდენიმე წვრილმანი დანაშაულის ჩამდენ პირს თითოეულ ეპიზოდზე გათვალისწინებულ სასჯელს უკრებენ და შედეგად, 10 ფუნთუშის ქურდსაც კი შეიძლება 20 წელი მიესაჯოს. „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე

თეა წულუკიანი აცხადებს, რომ მოსამართლეებს, ფაქტობრივად, კალკულატორები დაურიგეს და სხვა მათ აღარაფერი სჭირდებათ. ეს კი ჩვენი გენოფონდისათვის კატასტროფას წარმოადგენს. „თავისუფალი დემოკრატები“ ითხოვენ, რომ კვლავ შთანთქმის პრინციპი შემოვიდეს, რომლის მიხედვითაც, უდიდესი სასჯელი უმცირესს შთანთქავს და პატიმარს გაცილებით ნაკლები წლის გატარება უწევს ციხეში. თუმცა, ალასანიას პარტიის წარმომადგენლებს ამ პრინციპზე დაბრუნების თავისებური მოდელი აქვთ ჩამოყალიბებული, რომელიც ამ დრომდე დამუშავების პროცესშია.

წულუკიანის განცხადებით, მათი პროექტის მიხედვით, თუ ადამიანი პირველად სჩადის დანაშაულს და ეს დანაშაული ნაკლებად მძიმეა, მაშინ სასჯელთა შთანთქმის პრინციპი იყოს გამოყენებული. ეს იმიტომ, რომ სასჯელი ადამიანის საბოლოოდ განადგურების იარაღად არ უნდა იყოს ქცეული, დამნაშავე უნდა გამოსწორდეს.

წულუკიანის თქმით, თუკი ადამიანს ნაკლებად მძიმე დანაშაულიც აქვს ჩადენილი და მძიმეც, მაშინ, მოსამართლემ გადაწყვიტოს, რომელს იმსახურებს კონკრეტული განსასჯელი.

„ამით ჩვენ ვთავაზობთ, რომ მოსამართლეს მიეცეს თავისუფლება, განასხვაოს პირველად დანაშაულის ჩამდენი პირი სხვა დამნაშავეებისგან და პირველად ჩამდენ დამნაშავეს, ნაკლები სიმძიმის დანაშაულის შემთხვევაში, დაუნიშნოს მხოლოდ ერთი, ყველაზე მკაცრი სასჯელი. აგრეთვე, ჩვენ ვთავაზობთ, რომ მოსამართლეს მიეცეს შესაძლებლობა, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, თავად გადაწყვიტოს შეკრიბოს დანაშაულები მთლიანად, შეკრიბოს დანაშაულები ნაწილობრივ თუ გამოიყენოს შთანთქმის პრინციპი“, — აცხადებს წულუკიანი.

თეა წულუკიანი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ასეთი საკანონმდებლო სიახლის განხორციელების შემთხვევაში, კანონს უკუძალა ექნება და იმ ადამიანებასაც შეეხება, რომლებიც ციხეში უკვე სხედან.

თუ რა ეტაპზეა საკანონმდებლო ინიციატივის მსვლელობა პარლამენტში, ამის შესახებ დეპუტატ გია ცაგარეიშვილს გავესაუბრეთ. მისი განცხადებით, პროექტი დასრულების პროცესშია და მისი წარდგენა ორშაბათის ბიუროს სხდომაზე არის დაგეგმილი.

**გია ცაგარეიშვილი:**

— რაღაც გარემოებებს ველოდებით და 2-3 დღეში ყველაფერი მზად გვექნება. ვფიქრობ, რომ უკვე ორშაბათს ბიუროზე დავარეგისტრირებთ. ჩვენმა ინიციატივამ საზოგადოებაში საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ჩვენ ბევრი პატიმრის ახლობელი დაგვიკავშირდა, იმ ადამიანების ახლობლები, რომლებიც დღეს სხვადასხვა სასჯელს იხდიან. ამ ფონზე, გადავწყვიტეთ, რომ გარკვეული სახის კორექტივები შევიტანოთ ჩვენს პროექტში. ეს ყველაფერი მუშავდება და ვფიქრობთ, რომ ერთგვარი ლიბერალიზაციისკენ წავიდეთ, ვიდრე აქამდე იყო.

რადგანაც საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი, გვინდა, რომ ისეთი კანონპროექტი შევთავაზოთ მათ, რომელიც რეალურად განხილვას დაექვემდებარება, არ დაიბლოკება, არ გამოიწვევს რაღაც უაზრო გაღიზიანებას, როგორც ხშირად ემართება უმრავლესობას.

***— თქვენ კორექტივები ახსენეთ, ვერ დაგვიკონკრეტებთ, რა ცვლილებებზეა საუბარი?***

— როდესაც გვიკავშირდებიან ადამიანები, ბევრი მათგანისაგან წამოვიდა სხვადასხვა კორექტივის შეტანის ინიციატივა და ვაპირებთ, რომ რამდენიმე დებულებას გადავხედოთ. ახლა არ მინდა წინსწრებით ვისაუბრო ამ საკითხებზე. როგორც გითხარით, გვინდა, ეს ყველაფერი ორშაბთისთვის დავასრულოთ.

აქვე, აღვნიშნავ, რომ ოპტიმიზმით არ ვარ განმსჭვალული, რომ პარლამენტი ჩვენი კანონპროეექტის განხილვას მაშინვე დაიწყებს, ყველანაირად ეცდებიან, რომ გადადონ. ამიტომაც, მე ვფიქრობ და ეს პარტიაშიც აღვნიშნე, რომ ისეთი პროექტი უნდა გამოვიდეს, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯიც იქნება, თუმცა მოქმედი კანონის ფრაგმენტებსაც შეინარჩუნებს.

ამას ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე გეუბნებით, რაღაც ძირეულ ცვლილებებზე როცა წახვალ, ასეთი კანონი არ გადის. თუ გვინდა, რომ მხოლოდ პოლიტიკური პოპულიზმის გამო ვიმოქმედოთ (როგორც ხშირად ხდება პარლამენტში), მხოლოდ სიტყვა ვთქვათ და ის საქმედ არ ვაქციოთ, მაშინ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ასეთ შემთხვევაში, ჯობს, საერთოდ არ შევიტანოთ ეს კანონპროექტები. ეს ისეთი სათუთი თემაა, რომელიც ეხება უამრავ ადამიანს, პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებს და ცრუ მოლოდინის გაჩენა სრულიად მიუღებელია.

***— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, პატიმრების ახლობლების მხრიდან გამოხმაურება, ალბათ, ამ კანონის უკუქცევადობასთან დაკავშირებით იქნებოდა. ანუ, ეს ეხება უამრავ პატიმარს, რომელიც დღეს იხდის შეკრებილ სასჯელს.***

— ამ ადამიანებს სიახლე ყველა ვარიანტში უნდა შეეხოს, მაგრამ თუ ჩვენ ლიბერალიზაციის სიღრმეებში წავალთ, მაშინ უკუქმედებითი ძალის არეალი და პირთა წრე ბევრად გაფართოვდება, ამიტომ ჩვენ რაღაც გონივრული ზღვარი უნდა ვიპოვოთ. ახლა ამ გონივრული ზღვრის ძიებაში ვართ. ამას დრო სჭირდება, რა თქმა უნდა, ჩვენ პირობას არ გადავალთ, კანონპროექტიDშევა პარლამენტში და ვეცდები, რომ საპარლამენტო უმრავლესობას მასზე აზრი მაინც გამოვათქმევინო, კანონპროექტი სესიაზე მაინც მოხვდეს, კენჭისყრაზე დადგეს. თუ უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ ასეთი სახით კანონპროექტი არ უნდა იყოს მიღებული, ჩვენ, რა თქმა უნდა, გახსნილები ვართ კონსულტაციებისთვის, შეგვიძლია ვისაუბროთ, ვიდაოთ. თუნდაც, დავისა და პოლიტიკური დებატების დაწყება ამ თემაზე, ვფიქრობ, წინგადადგმული ნაბიჯია.

მაგრამ ვიმეორებ, ილუზიებით არ ვიკვებები, რადგანაც, ატსტუპნიკების შესახებ კანონპროექტი, რომელიც ისეთი ფორმით შევიტანე, რომელიც, მათ შორის უმრავლესობისთვისაც მისაღები იქნებოდა. უმრავლესობის წევრები კიი ყოველგვარ ასეთ მცდელობას ოპოზიციიდან არაადეკვატურად ეპყრობიან, ხისტად უდგებიან. სიტყვა „არა“, მათი ხმარებიდან არ ამოდის, ნებისმიერ წინადადებაზე გადაულახავი წინააღმდეგობა გვხვდება და ეს ძალიან ცუდია, ძაბავს ურთიერთობას და საზოგადოებაში უიმედობის განცდას იწვევს. არ გვინდა, ამ კანონპროექტზეც ის დაგვემართოს, რაც წინა შემთხვევებში.

***— თქვენი ეს სიფრთხილე ალბათ პარლამენტში არსებული შიდა განწყობებითაა გამოწვეული. პირად საუბრებში რას აცხადებენ თქვენი კოლეგები?***

— მათი ზოგადი განწყობის შესახებ ყველამ კარგად იცის, ეს ყველაფერი დაინერგა ნულოვან ტოლერანტობაზე სააკაშვილის მიერ წარმოთქმული ფრთიანი ფრაზის შემდეგ. ამას მოჰყვა დრაკონული კანონების მიღება, ლამის ძუძუმწოვარ ბავშვებს დაუწყეს ქუჩაში დევნა-დაკავება, კატასტროფამდე მივედით. რა თქმა უნდა, შეჯიბრებითობა ამავე ჭრილში უნდა განვიხილოთ. ამიტომ, ნებისმიერი ცვლილება ამ სისტემაში უმრავლესობის მხრიდან საოცარ გაღიზიანებას იწვევს. პირდაპირ დაპირისპირება ხდება იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც რამე წინააღმდეგობას გაბედავს. ამიტომაც ვეძებთ ოქროს შუალედს და ეს მით უფრო ახლაა აუცილებელი, როცა ივანიშვილის ფაქტორის გამო უკიდურესად დაძაბული ვითარება წარმოიშვა. აქ ვტრიალებ და ვეტყვით, რომ პარლამენტის შიგნით სწორედ ასეთი სიტუაცია, ადამიანები ოთახებიდან აღარ გამოდიან და ამ თემაზე მათთან საუბარი როგორ შეიძლება შედგეს.

# ივანიშვილმა ელჩებს სააკაშვილის ჩანაცვლების გეგმა გაანდო

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მიხედვით, ერთსაც დავძენთ, ბიძინა ივანიშვილი მაგალითად, ჯონ ბასს ჯერ ინგლისურად, შემდეგ კი ფრანგულად მიესალმა. ასე რომ, უცხო ენები საქართველოში მხოლოდ მიხეილ სააკაშვილმა არ იცის, სააკაშვილმა, რომელსაც დიპკორპუსის შეხვედრა ივანიშვილთან ყველაზე მეტად გააცოფებდა.

უკვე ივანიშვილის გუნდის წევრის, ირაკლი ალასანიასგან განცხადებით, დიპკორპუსთან შეხვედრაზე საუბარი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის მიზნებსა და არსებულ საფრთხეებს შეეხო. ისევე, როგორც ბესელია, სესიაშვილიც ამბობს, რომ ეს პირველი შეხვედრა იყო და მხარეებს შორის დიალოგი კიდევ გაიმართება.

— ეს იყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა. დიპლომატებს საშუალება ჰქონდათ, ბიძინა ივანიშვილისგან ინფორმაცია კითხვა-პასუხის რეჟიმში მიეღოთ.

ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო იმდენად, რამდენადაც ბოლო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ზეწოლასა და პოლიტიკურ ტერორს ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, საჭიროდ ჩავთვალეთ, ბიძინა ივანიშვილის დიპლომატიურ კორპუსთან უშუალოდ ჩაეყენებინა საქმის კურსში. საუბარი შეეხო მისი პოლიტიკაში მოსვლის მიზნებს, ხედვებს, არსებულ საფრთხეებსა და რისკებს, ასევე სამომავლო მოლოდინებს, — აღნიშნა სესიაშვილმა.



# პროკურატურა საბანკო ანგარიშებს გააკონტროლებს

შორენა კოწოწაშვილი

**პოლიტიკური პროცესი სულ უფრო მწვავდება. ხელისუფლება ყველა მიმართულებით ცდილობს კონტროლის გამკაცრებას და ეს განსაკუთრებით ფინანსებს ეხება. ამის მიზეზი ბუნებრივია, შიშია, რაც ხელისუფლებას ბოლო დროს, კერძოდ, ბიზნესმენისა და მეცენატის – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენის შემდეგ უფრო გაუმძაფრდა.**

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი მანამდეც უკონტროლოდ არც ერთ თეთრს არ ტოვებდნენ და ეს ქართულ ბიზნესს კარგად ეტყობა. ხელისუფლებამ იცის, რომ როგორც კი ქვეყანაში მის მიერ უკონტროლო ფული გაჩნდება, ეს მისთვის დამღუპველი და ძალაუფლების დაკარგვის რეალური საფრთხე იქნება, ამიტომ ყველაფერს აკეთებს და უკანონობაზეც მიდის იმისათვის, რომ პოლიტიკური მოწინააღმდეგე დამნაშავედ გამოიყვანოს და ამის გამო სრულიად უდანაშაულო ადამიანები ციხეშიც გამოამწყვდიოს.

ეტყობა, ხელისუფლებას გული უგრძნობდა, რომ შესაძლებელი იყო ვიღაცებს ფული გასჩენოდათ და ეს ფული პოლიტიკაში დაბანდებულიყო, ამიტომ, სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღო და კანონით, საქართველოს მთავარ პროკურატურას საბანკო ანაბრების კონტროლი დაევალა.

ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენას, დაახლოებით, ორი კვირით უსწრებდა. ოპოზიციურ ფლანგზე ხელისუფლების ეს ნაბიჯი ბიზნესის მორიგ წნეხად შეფასდა, თუმცა, ყველა პოლიტიკოსი ერთხმად აღნიშნავდა, რომ ქართველ მეწარმეებსა და ბიზნესმენებს სახელისუფლო წნეხი ისედაც არ აკლდათ.

– სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ძალოვან უწყებებს ფულის მიმოქცევაზე ტოტალური კონტრილი აქვთ დაწესებული. თქვენ რომ დღეს მოინდომოთ ელემენტარულად სახელფასო ანგარიშზე გარკვეული ოპერაციის ჩატარება, ამის თაობაზეც კი მიუვათ ინფორმაცია ძალოვანებს. ხელისუფლება ამას აკეთებს სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, თუმცაღა, არსებობს ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი პირობები, რომელიც დაცული უნდა იყოს, როგორც საბანკო სფეროში, ისე ბიზნესის ყველანაირი მიმართულებით. შემიძლია გითხრათ, ერთი რამ, სახელმწიფო კონტროლი არის დამღუპველი და ძალიან ხელისშემშლელი ბიზნესისთვის. თუ ჩვენ გვინდა, ბიზნესის თავისუფლება, ბიზნესის თავისუფლება ნიშნავს ფულისადმი თავისუფალ დამოკიდებულებას. თქვენ იცით, უამრავი ე.წ. შეწერილი ობიექტები არსებობს, როდესაც შეიძლება ამა თუ იმ ბიზნესის წარმომადგენელს თავში აზრად არ მოუვიდეს, ანაკლიაში იქნება თუ სხვა ადგილას, სასტუმროს მშენებლობა, მაგრამ მას დაავალებენ, რომ უნდა ააშენოს სასტუმრო და ეს ხდება მისი ბიზნესინტერესი. ბიზნესს ესეც აზარალებს, – აცხადებს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე.

როგორც ბოლო პერიოდში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, „ახალი მემარჯვენეები“ აქცენტს მცირე და საშუალო ბიზნესზე აკეთებენ და სწორედ ამ სფეროს წარმომადგენლებისთვის ხელის შეწყობით ანუ ამ სფეროს წარმატებით განვითარებისთვის გადადგმული ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯები მოიტანს დადებით შედეგს.

ფიქრია ჩიხრაძის თქმით, ბიზნესმენზე უკეთესად არავინ იცის, მისი მოგება სად არის, ანუ მოგება სად უნდა ეძიოს, ფული სად უნდა ჩადოს, სად უნდა შექმნას სამუშაო ადგილები და ა.შ.

– ეს სისტემა ტოტალურად შესაცვლელია, მაგრამ კარგად გამიგეთ, ეს ყველაფერი ანუ მთავარი პროკურატურის კონტროლიც უფრო დიდ ბიზნესს შეეხება, რომლის დიდი ნაწილი ხელისუფლებასთან შეზრდილია. იმიტომ, რომ სამწუხაროდ, დიდი ბიზნესები ხელისუფლებასთან მოწილეობის გარეშე ვერ არსებობენ. ამ შემთხვევაში ჩვენი მთავარი ორიენტირი არის წვრილსა და საშუალო ბიზნესზე. მოვაჭრეებზე, პატარა სამეწარმეო ობიექტების მეპატრონეებზე მოდის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში დაახლოებით 60-70% ეკონომიკური საქმიანობისა. ჩვენ სწორედ ამ სეგმენტს უნდა შევუქმნათ ნორმალური და კარგი პირობები. თორემ სხვანაირად 5-6% მსხვილი ბიზნესის არსებობა ქვეყანაში ვერ ქმნის გარანტიებს ეკონომიკური სიძლიერისათვის. ამ სიძლიერისთვის გარანტიის შექმნა შეუძლია მხოლოდ იმ ფენას, რასაც წვრილი და საშუალო ბიზნესი ჰქვია. ამან უნდა შექმნას საშუალო ფენა, რომელიც ზოგადად თავისუფლების გარანტი იქნება მერე ქვეყანაში. ამ თავისუფლებაში მე ვგულისხმობ ყველანაირ თავისუფლებას პოლიტიკურ თავისუფლებასაც, ადამიანის უფლებებსაც, მედიის თავისუფლებასაც და ა.შ. სხვანაირად ყველაფერი არის წყლის ნაყვა, თუ ეს ფუნდამენტური პრობლემა არ გადაიჭრა ჩვენს ქვეყანაში, – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.


ფიქრია ჩიხრაძე

საარჩევნო გარემოდან გამომდინარე, ხელისუფლებასთან წარმატებული მოლაპარაკებებისა და სავარაუდოდ, გარკვეული გარანტიების მიღების შემდეგ, „ახალი მემარჯვენეები“ მკვეთრ შეფასებებს ერიდებიან. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ისინი პირველად არ იღებენ არაორდინალურ, ანუ არაპოპულარულ გადაწყვეტილებას. ასეთი გადაწყვეტილებები, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ახლების მტკიცებით, საზოგადოების მხრიდან დადებითად ფასდებოდა.

რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან ფულის, საბანკო ანგარიშების კონტროლის გამკაცრებას, ფიქრია ჩიხრაძე იზიარებს პოზიციას, რომ ამით ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ყველა მოქალაქეს ხელი ჯიბეში ჩაუყო.

– ხელისუფლებას ჯიბეში ხელი უკვე დიდი ხანია ჩაყოფილი აქვს. მე მგონია, რომ ამ კანონით მაინც უფრო მსხვილი ბიზნესის კონტროლის ინტერესი აქვს. ამ სფეროში კარგად არა ვარ ჩახედული, მაგრამ ექსპერტებისა და სპეციალისტებისგან რაც მსმენია, ხელისუფლებას უნდა, რომ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს, ვისგან რამდენი ფული უნდა ამოიღოს და ა.შ., – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

მისი თქმით, სახელფასო ანგარიშიდან მცირე გადაადგილებაც რომ მოახდინო, ბანკი შემოწმებას იწყებს და ეს გარკვეული სახელმწიფო უწყებებისთვის ინფორმაციის მიწოდებით აიხსნება.

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამ ტიპის კონტროლი არ ხორციელდებოდეს, თორემ სახელმწიფო კონტროლი, ზოგადად, არსებობს და იარსებებს მომავალშიც დემოკრატიულ სახელმწიფოში, – აღნიშნა ბოლოს ფიქრია ჩიხრაძემ.

# გიორგი გაჩეჩილაძე: მომავალ არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას 5%-იანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდება

გულიკო ბალაძე

## როგორ აღმოჩნდა ქართული ეკონომიკა რუსეთის ხელში

**ინტერვიუ მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძესთან**

***– ბატონო გიორგი, თქვენ ხშირად აცხადებდით, რომ საჭირო იყო დასავლური მიმართულების ახალი პოლიტიკური ბლოკის შექმნა, რომელიც გახდებოდა სააკაშვილის დამარცხების საწინდარი. პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის ჩართვით ნაცმოძრაობის ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბების წინაპირობები ხომ არ იქმნება?***

– დიახ, ის კონსტრუქცია, რომელიც ახლა კეთდება (რა პროცესსაც ახლა ჩვენ ვუყურებთ), სწორედ რომ არის წინაპირობა ისეთი ძლიერი ალტერნატიული ცენტრის ჩამოყალიბებისა. ეს ახალი ძალა მომავალ არჩევნებში არსებული ხელისუფლების რეალური ოპონენტი იქნება. ჩვენ ამას დიდი ხანია ვითხოვდით. ძალიან სასიხარულოა, რომ კიდევ ერთხელ მართალი აღმოვჩნდით – კანონიერი, არაძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი საშუალება სწორედ ეს სქემაა.

***– თქვენ მოუწოდებდით დასავლური მიმართულების პარტიებს და ასეთი ტიპის პოლიტიკოსებს, გაერთიანებულიყვნენ, მაგრამ დღემდე ეს ვერ ხერხდებოდა.***

– გაგახსენებთ, რასაც ვაცხადებდით – რა არის საჭირო სააკაშვილის ხელისუფლების ცვლისთვის, რომ ეს მოხდეს არაძალადობრივი გზით? საჭიროა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბება, რომლებშიც გაერთიანდებიან ძირითადად პროდასავლური ძალები. მათ, გარდა იმისა, რომ იქნებიან პროდასავლურები, სურვილი ექნებათ, აღადგინონ რუსეთთან ურთიერთობა, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ვითარების შეცვლა. პარალელურად საჭიროა სააკაშვილისთვის ძირითადი საფუძვლის გამოცლა, რომელზეც ის დგას დღემდე ჩატარებულ ყველა არჩევნებში, ყველა კრიტიკულ მომენტში, ეს არის ფსევდოოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების ლუსტრაცია. ფსევდოოპოზიციური პარტიების ლუსტრაციის მცდელობა იყო გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ჩვენ ვლაპარაკობდით პოლიტიკური ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ ცენტრში გარკვეული სქემით გაერთიანებაზეც. აღმოჩნდა, რომ ეს მართლაც ერთადერთი გზაა ნორმალური, ცივილიზებული გზით ხელისუფლების ცვლილებისა. გვიხარია, რომ ამ მიმართულებით მიდის ახალი პოლიტიკური კონსტრუქციის მშენებლობა. თვით ამ ხელისუფლების რეაქციაც მეტყველებს იმაზე, რომ სწორედ ამ სქემის ეშინოდათ

***– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე, ხელისუფლებას ყველაფერი საათივით აწყობილი ჰქონდა – პოლიტიკური პარტიებს აპამპულებდა – ატყუებდა, საარჩევნო კოდექსს შევცვლი, საარჩევნო გარემოს გავაუმჯობესებო, მაგრამ რეალურად ყველაფერი სათავისოდ ჰქონდა განაღებული. ახლა, როგორც ჩანს, ყველაფერი ჩაეშალა და ამან გააწიწმატა ხელისუფლება. ის ლანძღვა-გინების ნიაღვარი, რომელიც ახლა ბიძინა ივანიშვილის მისამართით ხელისუფლებიდან წამოვიდა, ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დარჩენის გეგმებისა და სქემების ჩაშლის გამო ხომ არ არის?***


გიორგი გაჩეჩილაძე

– რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკურ სცენაზე არის ძალიან სერიოზული ფაქტორი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ გამოწვია ოპტიმიზმისა და პერსპექტივის შექმნა ამომრჩევლისთვის. სააკაშვილი ბოლო არჩევნებში იმარჯვებდა იმით, რომ ამომრჩეველი პასიურობდა. არჩევნების დროს მოსახლეობა არ იყო აქტიური. ხელისუფლებას თავისი დაბევებული ხალხი რომ ჰყავს მუდმივად. ზოგი დაძალებით, ზოგი – შეშინებით, ზოგის ციხეებიდან გამოშვებით, მათი ნათესავების გამოშვების შეპირებით მიჰყავდათ უბნებზე. დაბალი აქტივობის შემთხვევაში, ეს იყო საკმარისი იმისათვის, რომ მათ დიდი უმრავლესობა აეღოთ ნებისმიერ არჩევნებში. ამიტომ ჩვენ ყოველთვის მოვუწოდებდით მოსახლეობას ყოფილიყვნენ აქტიურები, რადგან დიდი აქტივების შემთხვევაში ნაცმოძრაობა ვერ მოახერხებდა იმ შედეგის მიღწევას, რომელსაც ლებულობდა. ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი პარალელურად ამომრჩეველთა აქტივობას გაზრდის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და რაც რეალურად, თუ არჩევნებამდე მივიდა საქმე, შეიძლება ითქვას, რომ პირველი სქემისა და მეორე ამ ფაქტორის გათვალისწინებით (მოსახლეობის ოპტიმიზმის გაძლიერებითა და აქტიურობით), რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა პირწმინდად დამარცხდება – ნაციონალურ მოძრაობას 5%-იანი ბარიერის გადაახმაც კი ძალიან გაუჭირდება.

***– ბატონო გიორგი, მე გუშინ ჩამოვედი საჩხერიდან. იქ ხალხი შეშინებულია. როგორც ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში მოიქცა ხელისუფლება, ახლაც ისე არ მოიქცესო. ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა არაოფიციალურად ისიც მითხრა, გაანადგურებენო. მოგეხსენებათ, ახლა ხელისუფლება სხვადასხვა ილეთებს იყენებს, რომ ეს პიროვნება იზოლაციაში მოაქციონ...***

– თუ დააკვირდებით, ნაცმოძრაობას თავისი ბრძოლის არსენალში ერთადერთი რამ აქვს – ეს არის ძალადობა.

***– როგორ შეიძლება ამ ხელისუფლების ძალადობის დაძლევა არაძალადობრივად?***

– საზოგადოების კონსოლიდაციის შემთხვევაში, ვერავითარი ძალადობის მექანიზმი ვერ იმუშავებს. საზოგადოება ბიძინა ივანიშვილის ერთი განცხადების შემდეგ უკვე კონსოლიდირებული გახდა. ნაცმოძრაობისთვის ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია. რა ნაბიჯებიც გადადგეს ახლა – ბიძინა ივანიშვილის შვილის ახლობელი დაიჭირეს, მის ბანკს დაესხნენ თავს – საერთაშორისო დონეზე თავი მოიჭრეს. ეს არის მათ არსენალში, მაგრამ ამით ვერავის შეაშინებენ იმიტომ, რომ საზოგადოების წინაშე დგას ასეთი ამოცანა – თუ ეს ხელისუფლება დარჩა, საქართველოს პერსპექტვა არ აქვს. აქედან გამომდინარე, არც მათ ოჯახებსა და შვილებს აქვთ პერსპექტივა. ამიტომ საზოგადოება გადადგამს ნაბიჯს და აუცილებლად, რაც არ უნდა ზეწოლა იყოს, თუ არჩევნებამდე ნორმალურად მივედით, ასეთ შემთხვევაში აუცლებლად დაამარცხებს ნაციონალურ მოძრაობასა და სააკაშვილს. სხვათა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კონტროლის პალატის დავების განმხილველი საბჭო უქმდება

საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველი საბჭო უქმდება. შესაბამისი ცვლილება კონტროლის პალატის შესახებ კანონში შედის, რომელიც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა.

როგორც კანოპროექტის განმარტებით ბარათში არის ნათქვამი, უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოში გასაჩივრების წესი შენარჩუნებულია და ამ ფუნქციას დავების საბჭოს ნაცვლად, უკვე კონტროლის პალატის პრეზიდიუმი შეასრულებს. კანონპროექტის ავტორია კონტროლის პალატა, ინიციატორები კი დეპუტატები: ზურაბ ბუცხრიკიძე, ანდრო ალავიძე და მიხეილ ცქიტიშვილი.

მედიანიუსი

## მალაიზიის ელჩმა თორნიკე გორდაძეს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა

საქართველოში მალაიზიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩუა თეონგ ბანმა რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს თორნიკე გორდაძეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოფიციალური ცერემონიის შემდეგ შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მხარეებმა განიხილეს საქართველო-მალაიზიის ორმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის პერსპექტივები. მინისტრის მოადგილემ წარმატებები უსურვა მალაიზიის ელჩს სამომავლო საქმიანობაში. თავის მხრივ, ელჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მალაიზიის მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და გამოხატა მზადყოფნა ხელი შეუწყოს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას.

ინტერპრესნიუსი

## ფილიპინების ელჩმა ნიკოლოზ ვაშაკიძეს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა

ფილიპინების რესპუბლიკის ელჩმა მერილინ ალარილიამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, ნიკოლოზ ვაშაკიძეს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა განიხილეს ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების შემდგომი პერსპექტივები. შეხვედრის დასასრულს მინისტრის პირველმა მოადგილემ წარმატებები უსურვა ფილიპინების ელჩს სამომავლო საქმიანობაში.

ინტერპრესნიუსი

# ნესტან კირთაძემ ლეიბორისტები დატოვა

**ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა, პროფესორმა ნესტან კირთაძემ პარტია დატოვა. კირთაძის გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენას უკავშირდება.**

შორენა კოწოწაშვილი

როგორც თავად კირთაძემ განმარტა, მას პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილთან ჰქონდა საკმაოდ ხანგრძლივი საქმიანი შეხვედრა, რომელზეც შეფასდა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა როგორც მორალურ, ისე ზნეობრივ ჭრილში და გადაწყვეტილებაც სწორედ ამის შემდგომ მიიღო.

– მე მას ავუხსენი, რომ საჭირო იყო ზნეობრივი ფაქტორის გათვალისწინება, მაშინ როდესაც გამოჩნდა ფიგურა, რომელმაც პრაქტიკულად შეცვალა მიხეილ სააკაშვილისა და ხელისუფლებისგან კარგად დავარცხნილი პოლიტიკური სიტუაცია. გაჩნდა რეალური ცვლილებების შესაძლებლობა და ეს ფიგურა რეალურად დაუპირისპირდება ავტორიტარულ რეჟიმს, – აღნიშნა კირთაძემ. მისი თქმით, შალვა ნათელაშვილმა მასთან საუბარში დააფიქსირა, რომ ეს არ არის მისი პოზიცია.



ნესტან კირთაძე

– მე არ ვარ ლეიბორისტული პარტიის აქტივისტი. მე ვარ მეცნიერი, პროფესორი და ვალდებულებებითა და პრინციპებით სავსე ადამიანი. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით ქართულ პოლიტიკაში გაჩნდა ახალი რეალობა, რომელმაც შეცვლა თამაშის წესები და არსებული სტაგნაციური ვითარება. გაჩნდა შანსი, რომ ერთპარტიული მმართველობა დასრულდეს. მიმაჩნია, რომ ისეთი ადამიანის მიმართ, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, მრუდე აზრმაც კი არ უნდა გაიჟღეროს, არათუ მასთან დაპირისპირება მოინდომოს. სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობდნენ ლეიბორისტულ პარტიაში, – აცხადებს ნესტან კირთაძე ჟურნალისტებთან საუბრისას.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა ოპოზიციური ფლანგიდან ერთ-ერთმა პირველმა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა დაგმო. ნათელაშვილი მას ამერიკულ პროექტს იგივე „სოროსი-2"-ს უწოდებს და დარწმუნებულია, რომ დასავლეთი მიხეილ სააკაშვილის ჩანაცვლებას სწორედ ივანიშვილით ცდილობს.

რამდენიმე დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილმა კრიტიკა არ დაიშურა მეცენატისა და ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომელსაც რამდენიმე წლის წინ თავად ნათელაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტს სთავაზობდა.

მაშინ ივანიშვილი ნათელაშვილისთვის არა მარტო დადებითი იმიჯის მქონე ფიგურა იყო, არამედ სოლიდური კაპიტალის მქონე ბიზნესმენიც, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას წაადგებოდა. დღეისათვის ნათელაშვილმა რატომღაც პოზიცია შეცვალა, მას ამერიკის პროექტს უწოდებს და ივანიშვილის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებით აშკარად ხელისუფლების საქმეს აკეთებს.

როგორც პოლიტიკურ წრეებში საუბრობენ, ეს ყველაფერი ნათელაშვილის ძველ შეთავაზებას უკავშირდება, რა დროსაც ბიზნესმენმა ლეიბორისტული პარტიის შეთავაზება უყურადღებოდ დატოვა და პარტია არ დააფინანსა. აქედან გამომდინარე, ლოგიკას მოკლებული არ უნდა იყოს აზრი იმის თაობაზე, რომ ნათელაშვილი დღეს ივანიშვილს განაწყენებულის პოზიციიდან აკრიტიკებდეს, თანაც ერთ-ერთ ინტერვიუში შალვა ნათელაშვილმა ღიად თქვა, ოპოზიციური პარტია უნდა ფინანსდებოდეს ბიზნესმენების მიერ, აბა, მე ტირანსა და ავტორიტარულ რეჟიმს როგორ უნდა ვებრძოლოო.

აღსანიშნავია, რომ ნესტან კირთაძის განცხადების პარალელურად განცხადება გაავრცელა ლეიბორისტულმა პარტიამაც, რომელიც ივანიშვილთან მისულ პოლიტიკოსებს ფულის საშოვნელად შემდგარებს უწოდებს.

– როგორც ცნობილია, 2003 წელს სააკაშვილის ფეხისმლოკველთა წარმატების მთავარი საფუძველი იყო შალვა ნათელაშვილის ლანძღვა. ისტორია მეორდება. დღეს ნარიყალას გზაზე „სოროსი-2" – ივანიშვილთან ფულის საშოვნელად შემდგარი კიკუების რეპერტუარში საპატიო ადგილს იკავებს კვლავ შალვა ნათელაშვილისა და ლეიბორისტული პარტიის ლანძღვა. მივმართავთ ივანიშვილს, ვინც შეგვაგინებს, დაუფასეთ მათ შრომა და მიეცით სამმაგი პრემია. ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის დავალებით საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის შეხვედრა ვაშინგტონის მიერ დაფინანსებულ ახალ „სოროსი-2"-თან – ივანიშვილთან კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს კოლონიურ მდგომარეობას და იმას, რომ ამერიკა არ აპირებს, საქართველოს ხალხს მიეცეს თავისუფალი არჩევნის უფლება და აგრძელებს საკუთარი მარიონეტის მომზადებას ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, – ნათქვამია ლეიბორისტული პარტიის ოფიციალურ განცხადებაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლეიბორისტული პარტიისა და ნესტან კირთაძისადმი დამოკიდებულება ოპოზიციურ ფლანგზე ერთნაირი არ იყო. კირთაძეს ოპონენტები ანგარიშგასაწევ პოლიტიკოსად მიიჩნევენ და მისი აზრი და პოზიცია ყოველთვის ინტერესს იწვევდა ოპოზიციურ სპექტრში. თუმცა, როგორც ჩანს, პარტიის შიგნით კირთაძე არც ისეთი სასურველი ფიგურა იყო. ეს ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო სიიდანაც ჩანს. ნათელაშვილმა სიის წინა რიგებში კირთაძის ადგილი ვერ გამოძებნა, სამაგიეროდ მომღერალ ნუგზარ ერგემლიძისთვის გამოიძებნა ადგილი და ამით სახელისუფლებო პარტიის რიგები კიდევ უფრო გააძლიერა.

აღსანიშნავია, რომ თავად ლეიბორისტები კირთაძის პარტიიდან წასვლას დიდ დანაკარგად არ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ერთი წევრის წასვლით პარტია არ დაიშლება. პაატა ჯიბლაძის ინფორმაციით, პარტია აქტიურ ბრძოლას სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ კვლავაც გააგრძელებს. რაც შეეხება ნესტან კირთაძეს, პაატა ჯიბლაძე მას წარმატებას უსურვებს.

როგორი იქნება ნესტან კირთაძის შემდგომი ნაბიჯები, შევა თუ არა ის ბიძინა ივანიშვილის პარტიაში, ეს უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. დღეს კი კირთაძე დაზუსტებით მხოლოდ იმას აცხადებს, რომ მასსა და ივანიშვილს შორის შეხვედრა აუცილებლად შედგება.

# საპარლამენტო უმრავლესობას დაშლა ემუქრება

თამარ ნინიძე

**საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის შიგნით, სავარაუდოდ, უკვე იწყება ძალაუფლებისთვის ბრძოლა. მოსალოდნელ გადაჯგუფებებზე ინფორმაციას სააგენტო „პირველი" ავრცელებს. სააგენტო იუწყება, რომ ნაციონალების საპარლამენტო უმრავლესობაში არჩევნებამდე რამდენიმე ფრაქცია გაჩნდება, რაც სწორედ ხელისუფლების ზედა საფეხურებზე ამ დაჯგუფებების ლიდერების მოხვედრის სურვილით აიხსნება.**

ძირითადი დაპირისპირება ორ გუნდს შორის წარიმართება. ეს არის ბოკერია–უგულავას დაჯგუფება, რომელსაც ზურგს უმაგრებს ,,თავისუფლების ინსტიტუტი" და ვანო მერაბიშვილის მომხრეთა არცთუ მცირე სადეპუტატო კორპუსი, მათ შორის, მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც შს მინისტრის სერიოზული მხარდამჭერები არიან საკანონმდებლო ორგანოში. ბოკერია-უგულავას გუნდის წევრებში მოიაზრებიან პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი, ასევე გიორგი კანდელაკი, ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი მელაძე, კახა ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია, ანდრო ალავიძე და ნაციონალების ერთ-ერთი იდეოლოგი პავლე კუბლაშვილი.

ვანო მერაბიშვილის გუნდის წევრები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არიან მაჟორიტარები და დეპუტატი ელდარ კვერნაძე, რომელიც პარლამენტში ყველას და ყველაფერს ,,აკონტროლებს".

იმავე სააგენტო ,,პირველის" ცნობით, სააკაშვილსაც ჰყავს მხარდამჭერთა გუნდი, რომელშიც შედიან დავით ბაქრაძე, პეტრე ცისკარიშვილი, ზურაბ მელიქიშვილი და რამდენიმე წვრილფეხა დეპუტატი.

ზურაბ ჟვანიას ყოფილი თანამებრძოლები ჯერჯერობით მკვეთრ მხარდამჭერ განცხადებებს არც ერთი ამ გუნდის მიმართ არ აკეთებენ. შოთა მალაშხია, მიხეილ მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, გიგი წერეთელი ჯერ კიდევ ვერ აყალიბებენ თავიანთ სიმპათიებს რომელიმე ამ დაჯგუფების მიმართ, როგორც ჩანს, ელოდებიან ღია დაპირისპირების დაწყებას და მხოლოდ მაშინ მიიღებენ გადაწყვეტილებას, როცა აშკარა გახდება ერთ-ერთი ამ გუნდის უპირატესობა. ამ ეტაპზე საპარლამენტო უმრავლესობა ერთიანობის შენარჩუნებას, ასე თუ ისე, ახერხებს, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილი ყველა სადავო სამართლებრივ პროცედურასთან დაკავშირებულ ხელოვნურ დაბრკოლებას წარმატებით გადალახავს და საპარლამენტო არჩევნებისთვის მეორე პოლიტიკურ პოლუსად დაფიქსირდება, ნაციონალებში ურთიერთდაპირისპირება, შესაძლოა, ფარული ომიდან ღია დაპირისპირებაზე გადავიდეს. სავარაუდოდ, არსებული დაჯგუფებები ერთმანეთთან ბრძოლის პარალელურად ასევე ერთმანეთს მეორე პოლუსის ჩაძირვაში შეეჯიბრებიან.


გიგა ბოკერია


გიგი უგულავა

ამ ეტაპზე ძნელია პროგნოზი, მერაბიშვილსა და უგულავა-ბოკერიას გუნდებს შორის შიდა დაპირისპირება როგორ განვითარდება. დღეს კი ნაცებთან დაახლოებული ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ მერაბიშვილსა და სააკაშვილს შორის არანაირი დაძაბულობა არ არის და ივანიშვილის განცხადება, უბრალოდ, მცდელობა იყო მათ შორის ინტრიგის ჩამოგდებისა.

სახელმწიფო გერბზე დაწერილი დევიზი, ,,ძალა ერთობაშია", მალე, შესაძლოა, ნაციონალებისთვის მხოლოდ დევიზად დარჩეს. თუ კულუარული ინფორმაციები ნაციონალების ფრაქციებად დაშლის შესახებ გამართლდა და ბოკერია-უგულავა ღიად გამოაცხადებენ პოლიტიკურ ამბიციებს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლასა და პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის სავარძლების დაკავებაზე, მათი ოცნებების ასრულებას დიდი დღე არ უწერია. ბოკერია არც პრემიერისა და მით უმეტეს პრეზიდენტის პოსტზე სრულიად წარმოუდგენელია. საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ფიგურას ასეთ მაღალ თანამდებობებზე არ მიიღებს, ხოლო უგულავა, რომელიც თავისი პოსტის გამოყენებით ამომრჩევლის მოსყიდვას კარგა ხანია ცდილობს და ღია საარჩევნო მარათონშია ჩაბმული, ივანიშვილთან კონკურენციას ვერ გაუძლებს, თუნდაც ამისთვის ქვეყნის მთელი ბიუჯეტის სახსრების ჩართვა დასჭირდეს.

სააკაშვილის ,,ბრეჟნევიზაციაზე" საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია, მით უმეტეს მაშინ, როცა ხელისუფლების მიერ ტალახისთვის გამეტებული ოპოზიცია ლაფიდან ამოსვლას ბიზნესმენ ივანიშვილის გარშემო თავმოყრით ცდილობს და უკომპრომისო ბრძოლისთვის არის მზად.

## დიმიტრი გვინდაძე: საქართველო მოსალოდნელი ფინანსური კრიზისისგან 100 პროცენტით არის დაცული

საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე მიიჩნევს, რომ მსოფლიოში მოსალოდნელი მორიგი ფინანსური კრიზისაგან საქართველო 100 პროცენტით არის დაცული. როგორც მან „მედიანიუსს" განუცხადა, ამას ის გონივრული ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა განაპირობებს, რომელსაც მთავრობა ატარებს. 2012 წლის ბიუჯეტის პროექტიც სწორედ ამ დაცულობის გამყარებას ემსახურება. ამასთან საქართველო, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანაა.


დიმიტრი გვინდაძე

– პრევენციული ზომა ამ შემთხვევაში ის ფისკალური პოლიტიკაა, რომელსაც ვახორციელებთ. ესაა მცირე და ეფექტური მთავრობა, მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო კერძო სექტორის განვითარებისათვის, ეკონომიკის ზრდის დინამიკის შენარჩუნება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, სახელმწიფო ვალის დაბალი დონის შენარჩუნება და საბიუჯეტო დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება, რაც ასევე ქვეყნის მდგრადობის საწინდარია, – აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ.

მისი თქმით, 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის მკვეთრი გავლენისაგან საქართველო არა მხოლოდ დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა 4,5-მა მილიარდმა, არამედ გონივრულმა ფულად-საკრედიოტო და ფისკალურმა პოლიტიკამ გადაარჩინა, რისი გატარება დღესაც გრძელდება. ხსენებული თანხიდან ნახევარი უკვე ათვისებულია, და მეორე ნახევარი, დაახლოებით 2,5 მილიარდი დაკონტრაქტებულია.

– ეს ნიშნავს, რომ ხელი გვაქვს მოწერილი საგრანტო-სასესხო ხელშეკრულებებზე და ამ ხელშეკრულების ფარგლებში სხვადასხვა ინფრაქსტრუქტურული პროექტის კუთხით მუშაობა გაგრძელდება. შესაბამისად, მთავრობის მიერ ეკონომიკის ფისკალური სტიმულირება მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გაგრძელდება, – აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ.

მისი თქმით, საჭიროებისამებრ, საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციიდან დამატებითი ფინანსური რესურსის შეღავათიანი პირობებით მოზიდვაც შეეძლება. ამის გარანტიას მისი საკმაოდ კარგი რეიტინგი იძლევა.

– შესაბამისად, გრძელვადიანი, შეღავათიანი ფინანსური რესურსის ნაკლებობას არ განვიცდით და, მივიჩნევ, რომ ეს პრობლემა არ დადგება, – აღნიშნა დიმიტრი გვინდაძემ.

**მედიანიუსი**

## თავისუფალი დემოკრატები ირაკლი ჩიქოვანის საქმიანობის შესწავლას ითხოვენ

თავისუფალი დემოკრატები პარლამენტისგან კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავჯდომარის ირაკლი ჩიქოვანის საქმიანობის შესწავლას ითხოვენ. „თავისუფალმა დემოკრატებმა" თეა წულუკიანმა და გია ცაგარეიშვილმა პარტიის ოფისში პრესკონფერენცია გამართეს, რომლზეც კომუნიკაციის ეროვნული კომისიის საქმიანობის მონიტორინგის შედეგებზე ისაუბრეს. წულუკიანის განცხადებით, მონიტორინგი „ლევან მიქელაძის ფონდისა" და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ ჩატარდა და შედეგები შემაშფოთებლია.

თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ ჩატარებული მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავჯდომარე ირალი ჩიქოვანი სარეკლამო კომპანიაში „მაგისტილი მედია" 35%-იან წილს ფლობს. ამ კომპანიის მიერ წარმოებული სარეკლამო პროდუქციის განთავსება ხდება სხვადასხვა არხებზე. მათ შორის: „იმედზე", რუსთავი 2"-ზე და „საზოგადოებრივ მაუწყებელზე". წულუკიანი მიიჩნევს, რომ კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავჯდომარეს, ირაკლი ჩიქოვანს თანამდებობრივი საქმიანობის განსახორციელებლად პირადი ეკონომიკური ინტერესი გააჩნია.

– კომუნიკაციის ეროვნული კომისია დამოუკიდებელი უნდა იყოს და მედია სივრცის კონტროლს დამოუკიდებლად უნდა ახორცილბდეს, – აღნიშნა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ირაკლი ჩიქოვანი მისივე კომპანიის მიერ დამზადებული რეკლამის არხებზე განთავსებას არეგულირებს, ეს „მაუწყებლობის შესახებ კანონის" დარღვევაა და შესაძლოა, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს. ამდენად, „თავისუფალი დემოკრატები" პარლამენტისგან ითხოვენ, შეისწავლონ კომისიის საქმიანობის ანგარიში და ირაკლი ჩიქოვანის პასუხისმგებლობის საკითხი დასვან.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს მოქალაქეობას ებრალიძეც ითხოვს

**ალექსანდრე ებრალიძე ხშირად გვახსენებს ხოლმე თავს. მას საქართველო მაშინ ახსენდება რატომღაც როცა აქ ვითარება იძაბება. ახლა საქართველოში ძალიან საინტერესო ამბები ტრიალებს. ბიძინური სიოს დაბერვამ კარგა ხნის გარდაცვლილი პარტიები გააცოცხლა. არენაზე გამოჩნდა ალექსანდრე ებრალიძეც. ოპოზიცია ეჭვობს, რომ ის ხელისუფლებსათან არის შეკრული.**

თეა მარხვაიძე

ხელისუფლება მასთან დაკავშირებით მართლაც საეჭვოდ იქცევა. მას მაშინ იხსენებენ, როცა რომელიმე ოპოზიციონერის ჩაძირვა უნდათ.

გუშინ საქართველოს მსოფლიო ხალხთა კონგრესმა საქართველოს პრეზიდენტს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა. ისინი სააკაშვილს სთხოვენ, რომ კონგრესის პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს.

— უკანასკნელ წლებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად, მილიონობით ჩვენი თანამემამულე აღმოჩნდა თავისი ისტორიული სამშობლოს — საქართველოს — ფარგლებს გარეთ. მათი უმრავლესობა პატიოსანი და წესიერი ადამიანია, რომლებიც საზღვარგარეთ მძიმე შრომის ფასად ცდილობენ იშოვონ საარსებო წყარო და გადაარჩინონ ოჯახები შიმშილისა და სიღატაკისაგან.

ეს ხალხი ყოველდღიურად გზავნის საქართველოში მილიონობით დოლარს, რაც ავსებს ეროვნულ ბიუჯეტს და ამცირებს სოციალური დაძაბულობის სიმწვავეს ქვეყანაში, — ვკითხულობთ განცხადებაში.

განცხადების ავტორთა თქმით, ეს ადამიანები, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას დიდება და მსოფლიოში აღიარება მოუტანეს, საქართველოს მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის „ოქროს ფონდს“ წარმოადგენენ.

— ესენი არიან მსხვილი ბიზნესმენები და მეცენატები, ასევე მთელი რიგი საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებო პროგრამების სპონსორები.

და ბოლოს, ეს ადამიანები, მიუხედავად მათი ამჟამინდელი მოქალაქეობისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და სიმპათიებისა, ქვეყნის პატრიოტები არიან და მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის ძლიერ, ერთიან, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნას, რომელიც უზრუნველყოფდა მისი ყველა მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. განა თქვენ არ იზიარებთ ამ ფასეულობებს, — ეკითხებიან ქართველთა მსოფლიო კონგრესის წევრები მიხეილ სააკაშვილს.

მათი თქმით, დღეს ქვების შეგროვების დრო დადგა, რათა გაერთიანდეს ჩვენი დატანჯული და მრავალ უბედურება გამოვლილი ერი, რომელიც ბედის უკუღმართობის გამო სხვადასხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზეა მიმოფანტული.

განცხადების ავტორთა თქმით, სამშობლოში დაბრუნების და მოქალაქეობის უფლებები საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს წარმოადგენენ და ისინი ასახულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-13 და მე-15 მუხლებში და „საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომელთა ტექსტიც გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზეა მიღებული და უფლებების მთავარ გლობალურ განსაზღვრებს წარმოადგენს, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს გააჩნია. ადამიანის მოქალაქეობის უფლება და მისი აღდგენა ასევე ასახულია „მოქალაქეობის შესახებ ევროპის კონვენციის“ მე-4 და მე-9 მუხლებში, რომელიც ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს (მათ შორის საქართველოსაც) „ხელი შეუწყოს ყოფილ მოქალაქეებს მოქალაქეობის აღდგენაში...“



ალექსანდრე ებრალიძე

— ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის სახელით, რომელიც აერთიანებს საზღვარგარეთ არსებული ქართული დიასპორების 450 ათასზე მეტ წარმომადგენელს, მოგიწოდებთ შეასრულოთ თქვენი კონსტიტუციური ვალი და საერთაშორისო ვალდებულებები და უმოკლეს ვადებში მისცეთ საქართველოს მოქალაქეობა ყველა თანამემამულეს, რომლებსაც სურთ სამშობლოში დაბრუნება და ჩვენი სამშობლოს განვითარებასა და აყვავებაში თავისი წვლილის შეტანა! ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის სახით მოგიწოდებთ აღუდგინოთ საქართველოს მოქალაქეობა საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს, ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს ალექსანდრე ებრალიძეს, რათა მან შეძლოს მის ხელთ არსებული მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები გამოიყენოს ჩვენი საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ, — ასე სრულდება სააკაშვილისადმი გაგზავნილი განცხადება.

ნაციონალები ებრალიძეს ღიად კრიმინალს უწოდებენ. ოპოზიციის მტკიცებით კი ისინი შეკრულები არიან. ამაზე პირველი ეჭვი 2009 წელს გამოითქვა. მაშინ თბილისში დიდი აქციები იმართებოდა. გოჩა ძასოხოვმა სოჭში დიდი შეხვედრა მოაწყო. რომელშიც საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მონაწილეობდნენ.

ამ შეხვედრას ებრალიძეც ესწრებოდა. ის სიტყვითაც გამოვიდა. სადაც განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტობისთვის აპირებდა ბრძოლას. ამ განცხადებამ იქ მტოფებზე დიდი გავლენა იქონია. ხალხი გაოგნდა. რადგანაც პოლიტიკური განცხადება არავის არ უნდა გაეკეთებინა.

ნაციონალებმა ეს ფაქტი მაშინვე დაიხვიეს ხელზე. ამაყად და სიხარულით გვამცნეს, თბილისში ოპოზიციის აქციებს ებრალიძე აფინანსებსო.

მაშინ ყველა მიხვდა რატომაც გამოჩნდა ებრალიძე. მგონი ახლაც არაა ძნელი იმის ახსნა თუ რატომ გააქტიურდა საშკა პიტერსკი.

# არასამთავრობოები ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენას ითხოვენ

**ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევას გმობენ. მეტიც, ისინი პრეზიდენტისაგან ბიზნესმენისთვის მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით გამოდიან.**

ნათია ხურცილავა



ზაქარია კუწნაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციებმა განცხადება გაავრცელეს, რომელშიც ისინი საქართველოს პრეზიდენტსა და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს მიმართავენ, შეწყდეს პოლიტიკური მოტივებით ივანიშვილის დევნა.

არასამთავრობოები ასევე მიმართავენ უფლებამოსილ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ ივანიშვილის დევნა შეწყდეს და საშუალება მიეცეს ბიზნესმენს პოლიტიკაში ჩართვის. მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და როგორც მან გამოთქვა სურვილი, კენჭი იყაროს პარლამენტში.

არასამთავრობოები საქართველოში აკრედიტირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს სთხოვენ მკაცრი კონტროლის ქვეშ აიყვანონ აღნიშნული შემთხვევა და საქართველოს ხელისუფლებას არ მისცენ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების შელახვის საშუალება.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების მიზანია, რომ ბიძინა ივანიშვილს არ მიეცეს საშუალება ჩამოაყალიბოს პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური სუბიექტის სახით.

— შემთხვევითი არ არის, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის და მისი მეუღლისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა განხორციელდა მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის შექმნის თაობაზე განცხადება გაავრცელა. — ნათქვამია არასამთავრობოების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

არასამთავრობო ორგანოები განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ ივანიშვილის მეუღლისთვის ეკატერინე ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტს.

— განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეკატერინე ხვედელიძე, ბიძინა ივანიშვილის მეუღლე, უკვე იყო საფრანგეთისა და რუსეთის მოქალაქე მანამდე, სანამ საქართველოს პრეზიდენტი მას საქართველოს მოქალაქეობას მიანიჭებდა. შესაბამისად, სრულიად გაუგებარი და სამართლებრივი ნონსენსია მისთვის ამ მოქალაქეობის ჩამორთმევა ახლა. მას მეუღლისაგან განსხვავებით, უფრო მოგვიანებით (თითქოს ორი დღის შემდეგ) ჩამოართვეს მოქალაქეობა, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლება აგრძელებს პოლიტიკოს მამაკაცების დასჯა-დაშინების ტრადიციას მათი მეუღლეების, დების, დედების, დასჯით. ეს სრულიად აღმაშფოთებელი და კატეგორიულად დაუშვებელია. — ნათქვამია განცხადებაში.

არასამთაცრობო ორგანიზაციების ცნობით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის მიხედვით, პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება, საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა.

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს საქართველოში არც პარტიის შექმნა შეუძლია და არც პოლიტიკური ორგანიზაციის დაფინანსება.

კანონმდებლობით პარტიას ეკრძალება ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მიღება სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან და ასევე საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირისაგან.

ასევე ქართული კანონმდებლობით საქართველოს პრეზიდენტი და ვერც პარლამენტის დეპუტატი ვერ გახდება პირი, თუ ის არ არის საქართველოს მოქალაქე და მას ქვეყანაში არ უცხოვრია ბოლო ხუთი წელი.

ამდენად ეს პრივილეგია მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებზე ვრცელდება.

ასევე კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

— ჩვენ, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული ღირებულებები, შეშფოთებულნი ვართ ცნობილი ბიზნესმენის და აწ უკვე პოლიტიკოსის, ბიძინა ივანიშვილისთვის, ასევე მისი მეუღლისთვის, ეკატერინე ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის უკანონოდ ჩამორთმევის გამო. როგორც მიმდინარე მოვლენებიდან იკვეთება, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გაუსწორდეს ახალ პოლიტიკურ ოპონენტს და არ მისცეს მას საშუალება, განახორციელოს საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები. — აღნიშნულია განცხადებაში.

ამავე განცხადების მიხედვით, როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელმა, გიორგი ვაშაძემ განმარტა, რომ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საფუძველი გახდა მის მიერ 2011 წლის 7 ოქტომბერს გავრცელებული განცხადება, რომელიც შეიცავდა რეესტრისთვის საგულისხმოა ახალ ინფორმაციას ბიზნესმენის მიერ უცხო ქვეყნის, კერძოდ, საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების თაობაზე.

— სწორედ ეს გარემოება წარმოადგენდა ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ავტომატურად შეწყვეტის საფუძველს, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით განხორციელდა. — აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ე.წ. ნატურალიზაციის გზით 2004 წელს მოიპოვა.

ასეთ შემთხვევებში, დაინტერესებულ პირს საქართველოს მოქალაქეობას, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარდგენის საფუძველზე ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით ან განკარგულებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლით აღიარებულია დაინტერესებული მხარის უფლება, მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომელიც ადგენს, ცვლის, ზღუდავს ან აუქმებს მის უფლებებსა და მოვალეობებს.

ასეთ პირს ეძლევა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.

იმავე კოდექსის 98-ე მუხლი ადგენს დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება.

მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე არ არის ინფორმირებული ბიძინა ივანიშვილი და შესაბამისად, უცნობია, რა სამართლებრივი გადაწყვეტილებაა ამ დროისთვის მიღებული მის მოქალაქეობასთან დაკავშირებით.

— ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება წარმოების წესების უგულებელყოფით, შემაჯამებელი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველია. ამავე დროს, მოქალაქეობის შესახებ კანონის თანახმად, დადგენილია პასუხისმგებლობა მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო მოხელეთა არაკომპეტენტური და უკანონო მოქმედებების გამო. მნიშვნელოვანია, რომ ამ დრომდე ბიძინა ივანიშვილს არ ჩაბარებია არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეა და სახელმწიფო სტრუქტურების უკანონო მოქმედება ან მოვალეობათა შეუსრულებლობა შესაბამისი ორგანოების მხრიდან ხელისუფლებისავე პასუხისმგებლობას იწვევს. — ნათქვამია განცხადებაში.

ამვე განცხადების მიხედვით ბიძინა ივანიშვილის საქართველოს მოქალაქეობას ადასტურებს შემდეგი დოკუმენტები:

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის განკარგულება 484 ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე.

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა 2006 წლის 7 მარტს გაცემული.

აღნიშნულ განცხადებას საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა აწერს ხელს.

ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს განცხადებით ხელმოწერების შეგროვება ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით დაიწყება. როგორც ამბობენ, აღნიშნული მოთხოვნა მასშტაბური და საყოველთაო იქნება.

სამართლის ექსპერტი ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ უფრო რაციონალური იქნება, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს პრეზიდენტს არა მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით მიმართოს, არამედ მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით.

ამ შემთხვევაში ქუცნაშვილი აცხადებს, რომ კონსტიტუციით მკაცრად განსაზღვრული ვადები არსებობს. სწორედ სამი თვის ვადაში უნდა უთხრას დადებითი ან უარყოფითი პასუხი მოქალაქეობის მსურველს პრეზიდენტმა.

მიიღებს თუ არა საქართველოს მოქალაქეობას ბიძინა ივანიშვილი, ამას დრო გვაჩვენებს.

# ანქვაბი რუსეთის გამოყოფილი თანხის ხარჯვას მკაცრად გააკონტროლებს

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისთვის გამოყოფილი თანხის ხარჯვას მკაცრად გააკონტროლებს. ამის შესახებ „აპსნი პრესი“ იუწყება.

აღნიშნული განცხადება ალექსანდრე ანქვაბმა დღეს რუსეთის რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილესთან სერგეი ვერეშჩაგინთან შეხვედრაზე გააკეთა. შეხვედრაზე კომპლექსური გეგმის შესრულების მიმდინარეობა განიხილეს. ვერეშჩაგინი იმ ობიექტებსაც ეწვია, რომელთა აღდგენა რუსულ-აფხაზური გეგმის ფარგლებში მიმდინარეობს. კერძოდ, მან უნივერსიტეტის, რძის ქარხნის, თეატრის, საავადმყოფოს შენობები და ბოტანიკური ბაღი დაათვალიერა.

რუსი ჩინოვნიკი გალის რაიონში მიმდინარე სამუშაობითაც დაინტერესდა. პასუხად ანქვაბმა განაცხადა, რომ ამ რაიონში რუსულ-აფხაზური გეგმის ფარგლებს მიღმაც ბევრი რამ კეთდება.

— ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ადამიანებმა იგრძნონ, რომ მათზე ზრუნავენ. ამასთან, გალის რაიონთან ერთად არანაკლებ ყურადღებას საჭიროებს ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონები, — განაცხადა ანქვაბმა.

აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსურ გეგმის ფარგლებში რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისთვის წელს 4,23 მილიარდი რუბლი გამოყო. სულ აღნიშნული გეგმის განსახორციელებლად 10 მილიარდი რუბლის გამოყოფა იგეგმება.

ინტერპრესნიუსი

# ხელისუფლებისა და ივანიშვილის „ნოკაუტისთვის“ გადანახული ილეთები

ნინო მეტრეველი

**სულ ახალთახალი სოციოლოგიური კვლევით, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქმიანობას გამოკითხულთა 78 პროცენტი დადებითად აფასებს. 57 პროცენტი თვლის, რომ საქართველოში მოვლენები სწორი მიმართულებით ვითარდება. 60 პროცენტის აზრით, ქვეყანაში რეალური დემოკრატიაა. იმავე გამოკითხვის შედეგებით, დღეს რომ არჩევნები ტარდებოდეს, ამომრჩეველთა 57 პროცენტი ხმას ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მისცემდა.**

ამ ციფრებით, ხელისუფლებას საქმე ალჩუზე ჰქონია და ასეთი მომგებიანი პოზიციისას ძალიან გაუგებარია ბიძინა ივანიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებული მათი შიშები. გაანებონ თავი, დაიკმაყოფილებს პოლიტიკაში გაჩენილ ამბიციას, დახარჯავს ფულს და, როგორც მოვიდა, ისე წავა, მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასე ხუთიანზეა არაა ნაციონალთა საქმე, ყველა ფრონტზე რომ ერთად დაიწყეს ბრძოლა.

ის, რაც რამდენიმე დღეში გააკეთეს, ივანიშვილისთვის მოქალაქეობის სასწრაფოდ ჩამორთმევა პროცედურული ნორმების დაცვის გარეშე, ივანიშვილის ბანკში შემოწმების დაწყება და შარაგზის ყაჩაღებივით მანქანიანად ფულის წართმევა, ხელისუფლების, სულ მცირე, დაბნეულობასა და პანიკაზე მეტყველებს.

პოლიტიკურ ველზე ბიძინა ივანიშვილის შემოჭრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი რამდენჯერმე გამოჩნდა ეკრანებზე ვრცელი თავმომწონე საუბრებით, მაგრამ შიდა პოლიტიკური ამბები ერთი სიტყვითაც არ უხსენებია, არც ყეყეჩები უწოდებია ივანიშვილისა და მისი პარტნიორებისთვის და არც გამოტვინებულები. რუსეთის აგენტების მარკაც კი არ მიუკრავს. ეს უკვე არ არის კარგი სიმპტომი ხელისუფლებისთვის.

პოლიტიკოსობის მსურველი ბიზნესმენის შემკობით ნაცმოძრაობის მესამე ეშელონები არიან დაკავებულნი. უფრო ზევით მოლოდინის რეჟიმში არიან. სამეფო კარი საშინაო-საგარეო მრჩევლებიანად პროცესს აკვირდება. ნოკაუტისთვის გამიზნულ ილეთს ჯერ არ გამოიყენებენ. ამ ეტაპზე არ გამოადგებათ. ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობენ ძლიერი მეტოქის განადგურებას, ისე, როგორც ეს იყო ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში, მაგრამ ამჯერად რუსული თამაშით მოსახლეობისა და ოპოზიციის დაშინება არ გამოდის. თუ მაშინდელმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ, მათ შორის, მათაც, ვინც დღეს ივანიშვილის გვერდზეა, უცბად დაიბანეს ხელები პატარკაციშვილისგან, როგორც კი ხელისუფლებამ რუსულ თამაშზე დაიწყო პროპაგანდა, დღეს ივანიშვილის გვერდით პროამერიკულად ცნობილ პოლიტიკურ ძალებს დგომა არ ეუხერხულებათ, ამჯერად აღარ დარდობენ ნაცების მიერ მათთვის მინიჭებულ სტატუსებსა და რუსული ფულით გამოკვების ბრალდებაზე. ამაზე პასუხი არის და თანაც ლოგიკური. თუ რუსეთში ფულის შოვნაზეა საუბარი, რუსეთის მოქალაქე კახა ბენდუქიძემ მილიონები სად იშოვა და რატომ უყურებს მშვიდად მის ბიზნესს დღესაც კრემლი? საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე რომ აგვისტოს ომის დროსაც რუსეთის მოქალაქე იყო, „ნიჩურტა?“ ვინ არიან და სად შოულობენ ფულს სააკაშვილისა და უგულავას მეგობრები და ბიზნესპარტნიორებად წოდებული ძმები შარანგიები? სად იშოვა და რომელი ქვეყნის კომპანიაა „მადნეული“, სადაც ხელისუფლების ერთ-ერთი მაცხონებელი კობა ნაყოფია გამდიდრდა? ან მაშინ არ ჰქონდა რუსული სუნი ივანიშვილის ფულს, თვითონ რომ ახრამუნებდნენ? მოარულ ჭორებს რომ თავი დავანებოთ, რამდენით და როდის აფინანსებდა ხელისუფლებას ივანიშვილი, სოროსთან ერთად სახელფასო ფონდში რომ ბევრი მილიონი აქვს შეტანილი, ამაზე ხომ ექსპერტები დასაბუთებულად საუბრობენ? მის აშენებულსა და გარემონტებულს რომ ხსნიდნენ თავმომწონედ ბედნიერი სახეებით, მაშინ არ ჰქონდა იმ ფულს რუსული წარმომავლობა?

ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში იდგა ვარდოსანთა გვერდით და აძლიერებდა მათ, როგორც ფულით, ისე, როგორც თავად ამბობს, რჩევებით. ამდენად, იქ, მეფის კარზე იცოდნენ მისი შესაძლებლობები და ისიც, რომ ასე იოლად ხელს ვერ წამოჰკრავენ. თან მილიარდერ ბიზნესმენს მისი ქველმოქმედებისა და მითიური ცხოვრების წესი გამო ხალხში საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. უფრო ეს რეიტინგი უფრთხობთ ძილს ნაცებს. საკუთარი გამოცდილებით იციან, რომ მაღალი რეიტინგი, პლუს ფული, ოპოზიციური ერთობა და კარგი პოლიტიკური მრჩევლები, რომელთა დაქირავებაც ივანიშვილს არ გაუჭირდება, გამარჯვების ფორმულაა. ამას თუ ხელისუფლების მხრიდან არაადეკვატური და უკანონო ძალადობა დაემატება, შედეგი შეიძლება რევოლუციაც იყოს.

ივანიშვილმა უკვე დაიქადნა, თუ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ მომცემენ, ის არჩევნები ლეგიტიმური ვერ იქნებაო. როგორ შეიძლება, არჩევნები ლეგიტიმურად არ იყოს ცნობილი, ეს ნაცებმაც იციან და იმ ხალხმაც, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გვერდითაა. რესპუბლიკელები იყვნენ ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედნი. კობა დავითაშვილი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიის პირველი ნომერი იყო, ზვიად ძიძიგური და ეროვნული ფორუმის ლიდერები — რევოლუციის მონაწილეები, ალასანია და მისი პარტიის ლიდერები — ამ ხელისუფლების წევრები.

რევოლუციასა და ქუჩის აქციებზე ივანიშვილის წრეში არავინ საუბრობს. განცხადებები ხელისუფლების დემოკრატიულად, არჩევნებით შეცვლაზე კეთდება, თუმცა, პროცესები ისეთი სისწრაფითა და არაორდინარულად ვითარდება, რა მოხდება, პროგნოზირება რთულია.

საუბარია იმაზე, რომ შეიძლება ნაცმოძრაობამ თავის გადასარჩენად ვადამდელი არჩევნები დანიშნოს გაზაფხულზე, მაგრამ ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი. როგორც წესი, მწარეზამთარგამოვლილი მოსახლეობა გაზაფხულზე უფრო აგრესიული და მომთხოვნია ხელისუფლების მიმართ. უფრო მეტი ვარაუდით, ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას კონსტიტუციურ ვადაში მომავალი წლის შემოდგომაზე შეეცდება, იმ იმედით, რომ მანამდე ივანიშვილსა და ახალ კოალიციას „გააბანძებენ“. საამისო ტრადიციული მეთოდები ყველასთვის ცნობილია: სატელეფონო ჩანაწერები, „საეჭვო“ პირებთან შეხვედრების ფარული ჩანაწერები შესაბამისი კომენტარებით, გადატრიალებისა და ამბოხის ბრალდებით დაკავებულები, „ამღერებული“ მოწმეები და საამისოდ სადღაც დამარხული ან დამალული იარაღი. ეს მეთოდები დაშინებულ და უიმედო ხალხში წარმატებულად მუშაობდა.


ბიძინა ივანიშვილი

ხელისუფლების დასუსტების ერთ-ერთი მთავარი იარაღი ციხის შიგნიდან გატეხაა. ამაზე იდეოლოგიური მუშაობა უკვე მიდის, შეიძლება — პრაქტიკულიც. ალასანიას განცხადებით, უმაღლესი ხელისუფლის გარდა, არავის ერჩიან და ყველას თანამდებობებზე დატოვებენ. მანამდე თვითონ ივანიშვილმა განაცხადა, რომ ვინც გონს მოეგება, მათ საფრთხე არ ემუქრებათ. ვანო მერაბიშვილსაც კი მოუწოდა, გადადექი და ხალხი შენს ამაგს არ დაივიწყებსო. ვანოს სხვა რამეებიც გაახსენა, თან — ძალიან ფამილარულად, ჩემო ვანოო.

ცხელ გულზე კი ძალიან ვიტკიცეთ, მერაბიშვილს რას აქებს, ისევ თავზე უნდა დაგვასვასო? მაგრამ მერე ხელისუფლებაში „რაზბორკები“ რომ დაიწყო, შესაბამისი ვარაუდებიც გაჩნდა.

ბიძინა ივანიშვილი ის კაცი არ არის, გულუბრყვილოდ ეხსენებინა მერაბიშვილი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. კარგად იცოდა, რომ ამით თავის რეიტინგსაც საფრთხეს უქმნიდა და მერაბიშვილის კარიერასაც, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონ უღირდა. სავარაუდოდ, ეს განცხადება სწორედ ხელისუფლებაში არეულობის შესატანად გააკეთა. იცის რა სააკაშვილის ხასიათი, როგორი ფრთხილი და ეჭვიანია, მისი სიმპათია ხელისუფლების „ხერხემლისადმი“ უნდობლობის გაჩენისკენ იყო მიმართული. თუ სააკაშვილი მერაბიშვილის ერთგულებაში ეჭვს შეიტანს და გაათავისუფლებს, ამით ძალიან დიდ ძალას დაკარგავს. ამ ეტაპზე რომც არ გაათავისუფლოს, მაინც ეჭვით იქნება. ეს კი გააძლიერებს ხელისუფლების მეორე შტოს, რასაც თავისუფლების ინსტიტუტის ფლანგი ჰქვია და რომელსაც სათავეში გიგა ბოკერია უდგას.

კარგა ხანია დადის ხმები, რომ ბოკერია ირაკლი ალასანიასთან პოლიტიკურ ფლირტშია. ისინი რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. პარლამენტში ყოფნისას ივანიშვილის დღევანდელი პარტნიორი რესპუბლიკელები ბოკერიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყვნენ, მაგრამ მანამდე ვარდების რევოლუცია ერთად მოახდინეს. რესპუბლიკელები და ბოკერია მშობლიურ თავისუფლების ინსტიტუტთან სიამის ტყუპებივით იყვნენ. უსუფაშვილის პარტია პრაგმატული პოლიტიკოსებითაა დაკომპლექტებული, მოქმედებენ სიტუაციის შესაბამისად, როდის რა და ვინ არის მათთვის ხელსაყრელი, დამდურება-შერიგება მათთვის პანაცეა არაა, მათ შორის, არც დემოკრატიის მანტიაწამოსხმულ ბოკერიასთან და მის უკან მდგომ თავისუფლების ინსტიტუტთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მთავარი პრობლემა დასავლეთის თვალში დემოკრატიის მცირე ხარისხია და თუ ივანიშვილიც ამერიკის ან ამერიკა-რუსეთის ერთობლივი პროექტია, მაშინ გამორიცხული არაა, მისი, მისი კოალიციისა და თავისუფლების ინსტიტუტის ფრთასთან ხელისუფლებაში მოსვლის პროექტი რომ იწერებოდეს სადღაც.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „მომავალ არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას 5%-იანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

თელავის რაიონის ამომრჩეველთა 71%-მა ბოიკოტი და იფიციალური პროტესტი გამოუცხდა. 29 პროცენტიც მიყვანილია სხვადასხვა აკრძალული ხერხებით. ეს 29% არის ნაციონალების ხმების მაქსიმუმი. თუმცა, ნაციონალური მოძრაობისთვის ეს 29%-იც მიუღწეველი იქნება ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის შემთხვევაში. ამ 29%-ში ის ნაწილი, რომელმაც დაშინებითა და სახვა მექანიზმების ამოქმედების გამო მისცეს ხმა წინა არჩევნებში, ისინიც აღარ დაუჭერენ ხმას ნაციონალურ მოძრაობას, რადგან აქ ხედავენ ძალას, პერსპექტივასა და ქვეყნის გადარჩენას, ანუ მე ტყუილად არ ვაცხადებ, რომ მომავალ არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას ძალიან გაუჭირდება. შეიძლება 5%-იანი ბაერიერიც ვერ გადალახოს თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

***— თუმცა აშკარად ჩანს, რომ ნაციონალური მოძრაობის მესვეურნი არ გაჩერდებიან და სხვადასხვა მეთოდებით ბრძოლას განაგრძობენ. ისე, ყველაზე გასაოცარი ის იყო, შეშინებულებმა ბიძინა ივანიშვილს სასწრაფოდ მოქალაქეობა რომ შეუწყვიტეს. ამით ხელისუფლებამ თავისი სისუსტე არ გამოაჩინა?***

— რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ამ ქმედებებიდან გამოჩნდა, რომ ხელისუფლება სუსტია. მოძალადე ყოველთვს სუსტია შინაგანად. მხოლოდ პოლიტიკაში კი არა, ცხოვრებაშიც, ადამიანი, რომელიც ძალადობით ცდილობს რაღაცის მოპოვებას, ის სინამდვილეში სუსტი და მხდალია. მხოლოდ მხდალებისთვისაა დამახასიათებელი ძალადობით არსებობა და ძალადობით თავიანთი მიზნების მიღწევა. სიმხდალეზე ტყუილად არ მივუთითებ. ძალიან საინტერესო იყო ახლა ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ჩამოსვლა, მგონი, ის კლინტონის მოადგილეა. თუ დააკვირდით, რა განცხადება გააკეთა? მომავალ არჩევნებზე საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება უნდა მოხდესო. მან ამ ხელისუფლებას პირდაპირ მიმართა — თქვენ თუ გინდათ, ქვეყანა დაფიქსირდეს, როგორც ნამდვილად დემოკრატიის გზაზე მიმავალი, ანუ თუ გინდათ, თქვენ წინააღმდეგ რამე სერიოზული პრობლემები არ არსებობდეს პერსონალურად, ხელისუფლება უნდა გადააბაროთო.

***— ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ალბათ, შემთხვევით არ ჩამოსულა სწორედ ახლა?***

— რა თქმა უნდა. ამას მოჰყვება კიდევ კლინტონის ჩამოსვლა გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს ძალიან ნიშანდობლივია. მთავარია იქ რაიმე შეცდომა არ იყოს დაშვებული.

***— მაინც, რა შეცდომა შეიძლება იქნეს დაშვებული?***

— პატარკაციშვილის შემთხვევაში შეცდომები იყო დაშვებული. პატარკაციშვილის შეცდომა გახლდათ ის, რომ დაეყრდნო იმ პოლიტიკურ ძალებსა და ცალკეულ ფიგურებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდნენ. ვფიქრობ, ამიტომ ის აღმოჩნდა საერთაშორისო იზოლაციაში. ახლა ყველაფერი, ჯერჯერობით, ძალიან კარგად მიდის. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. პატარკაციშვილის ტრაგედია აბსოლუტურად გასათვალისწინებელია. პოლიტიკური ბრძოლების იმხელა გამოცდილება დაგროვდა საქართველოში და ბიძინა ივანიშვილი იმდენად ჭვიანი კაცია, იმდენად დიდი გამოცდილების მქონეა, ვფიქრობ, უშეცდომოდ გაივლის მთელ ამ გზას. მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის გამარჯვებაში არ არის საქმე — ველოდებით, რომ ქვეყანა განვითარებაა დაიწყებს. ქვეყანა განვითარების ჯანსაღ გზას უნდა დაუბრუნდეს. საზოგადოება ამას ელოდება.

***— იმ პირობებში, როდესაც ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა შეუწყვიტეს, როგორ მოახერხებს ის შექმნილი დაბრკოლებების გადალახვას? რეალურად, შესაძლებელი გახდება არჩევნებში მისი მონაწილეობა? ალბათ, მოქალაქეობის აღდგენისთვის სასამართლოს გზით იბრძოლებს და სტრასბურგამდეც ჩავა.***

— ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეობას საერთაშორისო ზეწოლის საშუალებით დაიბრუნებს. ვგულისხმობ საერთაშორისო სასამართლოებს და ა.შ. ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ვერ დაიბრუნა. ეს არ იქნება კარგი ამბავი, მაგრამ როგორც აცხადებს, პროცესის ბოლომდე მიყვანას აპირებს. ბიძინა ივანიშვილი მის მიერ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ კონსტრუქციაში მაინც ლიდერი იქნება, ყველა შემთხვევაში, სადაც არ უნდა იყოს. საზოგადოებაში ის კონსტრუქცია მაინც აღქმული ქნება, როგორც მისი პოლიტიკური გაერთიანება და ხალხი ივანიშვილის მხარეს გადაიხრება.

***— ბატონო გიორგი, დღეს ივანიშვილს უწოდებენ რუს ოლიგარქს და აშ. ჩვენ გვახსვს, ხელისუფლებამ პირდაპირ რუსეთიდან ჩამოიყვანა, რუსეთში გამდიდრებული და იქ მომუშავე ბენდუქიძე რომ ჩამოიყვანა ქვეყნის მთავარ იდეოლოგად. ისიც გვახსოვს, ბენდუქიძე პირდაპირ ეთერში ჟურნალისტებს და მთელ საზოგადოებას როგორ აგინებდა და აცხადებდა, საქართველოში ყველაფერს გავყიდიო და რეალურადაც ყველაფერი გაყიდა. ბენდუქიძე ნაცმოძრაობისთვის რატომ იყო მისაღები, ხოლო ბიძინა ივანიშვილი — მიუღებელი, გარდა იმისა, რომ ის პოლიტიკური ოპონენტია?***

— ხელისუფლების ის პიარაქციები უკვე სასაცილო გახდა, რომელსაც ის ყოველ კრიტიკულ მომენტში იყენებს და ცდილობს, საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესი რუსეთს მიაბას. სასაცილო გახდა იმიტომ, რომ მთელი ეკონომიკა ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილმა ბენდუქიძის საშუალებით რუსეთს გადასცა.

***— რუსეთის სახელმწიფო კომპანიებს გადასცა.***

— დიახ, ამაში იგულისხმება, როგორც ენერგეტიკული ობიექტები, ასევე ენერგომომარაგება. ფაქტობრივად, ყველაფერი. ყველაზე კატასტროფული ამაში არის კიდევ ის, რომ არა მარტო ობიექტებზეა აქ ლაპარაკი, არამედ საქართველოს ექსპორტის უდიდეს ნაწილს საქართველოდან აწარმოებენ სწორედ ის ობიექტები, რომლებიც რუსეთის ხელშია, ანუ ექსპორტიც კი, საიდანაც ვალუტა შემოდის საქართველოში, რუსეთის ხელშია. ეს რაც შეეხება ეკონომიკას. მოგეხსენებათ, ეკონომიკა ვისიც არის, პოლიტიკაც იმისია. ეკონომიკა განაპირობებს პოლიტიკასაც და ყველაფერს. ბენდუქიძემაც რუსეთში იშოვა ფული, ბუნებრივია, მაგრამ მხოლოდ იმაზე კი არ არის საუბარი, ბენდუქიძემ რუსეთში იშოვა ფული თუ არა. საქმე ისაა, ბენდუქიძე სად იყო სინამდვილეში და სად შოულობდა ამ ფულს? თქვენ იცით, რომ ბენდუქიძე იყო წამყვანი სუბიექტი რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა?

***— დიახ, ეს ცნობილია.***

— მე ტყუილს არ ვამბობ. ბენდუქიძე რუსეთის უშიშროების სამსახურის ნომენკლატურაა. რუსეთის მოქალაქე ვაშაძე რომ დანიშნეს 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად. რუსეთის მოქალაქის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა, როგორი განცხადება იყო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით საერთოდ? ვაშაძე სად მუშაობდა იცით?

***— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალიან მნიშვნელოვან განყოფილებაში.***

— ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების განყოფილებაში. ის აგრეთვე უშიშროების ნომენკლატურაა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი სამხრეებიანი ხალხია. ამიტომ ბიძინა ივანიშვილს რუსეთში ფულის შოვნას ნუ აძახებენ, რუსეთში ბევრამ იშოვა ფული, მათ შორის ძალიან ბევრმა მათმა მეგობარმაც.

***— ე.ი. რუსეთმა, ფაქტობრივად, თავისი უშიშროების კადრებით დაგვიკომპლექტა ხელისუფლება.***

— დიახ. 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში ანარქიის პირობებში თუ ვინმე ფულს შოულობდა და იმ ფულს საქართველოს მოახმარს, როგორც ამას ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს. ბენდუქიძემ საქართველოს მოახმარა თავისი ნაშოვნი ფული? შევადაროთ ახლა ეს ადამიანები და ვნახავთ, რომ ისინი არიან წმინდა უშიშროების ნომენკლატურა (სააკაშვილის რუსი ოლიგარქები) და ივანიშვილი არის ჩვეულებრივი ბიზნესმენი, რომელმაც იმ პერიოდის სიტუაცია გამოიყენა და იშოვა ფული.

# ქართული ხელნაწერები „იუნესკოს“ ხელნაწერი ძეგლების ნუსხაშია

ეკა ირემაშვილი

2011 წელს ქართული ხელნაწერები „იუნესკოს“ მსოფლიო დოკუმენტურ რეესტრში შევიდა. ამ სიახლესთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, საქართველოს ,,იუნესკოს“ საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალურმა მდივანმა ქეთევან კანდელაკმა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ საგანგებო ბრიფინგი გამართეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოში იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის მხარდაჭერით, იუნესკოს პროგრამას „მსოფლიო მეხსიერება“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტი ივლისში წარედგინა. პროგრამის ფარგლებში 500-მდე ქართული ხელნაწერი 7 ახალ ძეგლს შორის მოხვდა. კოლექცია IX-XV საუკუნეების ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობებს ასახავს და მსოფლიო კულტურის ისტორიისთვის უნიკალური მნიშვნელობა აქვს. ნუსხაში შესულია ბიზანტიური ძეგლების უნიკალური თარგმანები, ზედდართული ქართული კომენტარები და სხვა შინაარსის ძეგლები. მათ შორისაა თარგმანები, რომლის დედნები აღარ არსებობს და მეცნიერები მათ მხოლოდ ქართული წყაროების მიხედვით იკვლევენ.

– აღნიშნული პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს მსოფლიო დოკუმენტური მემკვიდრეობის დაცვა უახლესი და ყველაზე შესაბამისი ტექნოლოგიით, მხარი დაუჭიროს დოკუმენტური მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობასა და პოპულარიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა.

ქართული წერილობითი წყაროების გვერდით „იუნესკოს“ რეესტრს დაემატა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ყაზახეთის, პორტუგალიის, სომხეთისა და ანგოლის დოკუმენტური ძეგლებიც, თუმცა მათ შორის ქართული კოლექცია ყველაზე ძველია.

– ბიზანტიურ-ქართული წერილობითი ნიმუშების კოლექცია „იუნესკოს“ პროგრამა „მსოფლიო მეხსიერების“ ფარგლებში 7 ახალ ძეგლს შორის მოხვდა. კოლექცია VIII-X საუკუნეების ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობებს ასახავს და მსოფლიო კულტურის ისტორიისთვის უნიკალური მნიშვნელობა აქვს. კოლექცია, სახელწოდების მიუხედავად, მხოლოდ ქართული ხელნაწერებისგან შედგება. მასში შესულია როგორც ბიზანტიური ძეგლების უნიკალური თარგმანები, ასევე ზედდართული ქართული კომენტარები და სხვა შინაარსის ძეგლები. მათ შორის არის თარგმანები, რომლის დედნები აღარ არსებობს და მეცნიერები მათ მხოლოდ ქართული წყაროების მიხედვით იკვლევენ. კოლექცია 500-მდე ხელნაწერისგან შედგება და ისინი ფასეულია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისთვის. იუნესკოს კრიტერიუმიც ასეთი იყო, – განმარტა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ბუბა კუდავამ.

იუნესკოს პროგრამა „მსოფლიო მეხსიერების“ რეესტრში სულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 245 ხელნაწერი ძეგლია შესული.

ამ სიახლესთან ერთად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პრეზენტაცია თბილისში არსებულ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში იმართება. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ. სტუდენტებს საშუალება მიეცათ, სრული ინფორმაცია მიეღოთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ამჟამად მიმდინარე ილია აბულაძისა და კორნელი კეკელიძის სახელობის სტიპენდიების კონკურსის თაობაზე, სტიპენდიების გაცემის წესსა და პირობებზე. აღნიშნული სტიპენდიები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) სტუდენტებისთვის



არის განკუთვნილი. შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარე სტაჟირების პროგრამებს. ცენტრის წარმომადგენლებმა სტუდენტებს გააცნეს სტაჟირების პროგრამის დებულება, მიღების წესი, თითოეული დეპარტამენტის მიხედვით განსაზღვრული სამუშაოს სპეციფიკა და ვადები. შეხვედრაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფლად იყო შესაძლებელი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პრეზენტაცია შედგა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ილია აბულაძისა და კორნელი კეკელიძის სახელობის სტიპენდიების კონკურსს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა მსგავსი შეხვედრები საქართველოს უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართეს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ურსულა დროშევსკა ეწვია. მან დაათვალიერა მუდმივმოქმედი გამოფენა ,,ქართული ხელნაწერი წიგნი“, სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ქართული საერო და სასულიერო ხელნაწერი წიგნების მნიშვნელოვანი ნუსხების ასლები, VII საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით. ელჩი შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამის საშუალებით კი ხელნაწერი წიგნის შექმნის მრავალეტაპიან პროცესს გაეცნო.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ექსკურსიები დაიწყო. ცენტრის პირველი სტუმრები თბილისის მე-11 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ცენტრის მუდმივმოქმედი გამოფენა „ქართული ხელნაწერი წიგნი“ დაათვალიერეს. გამოფენაზე წარმოდგენილია ქართული ხელნაწერების გამორჩეულად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ნიმუშების მულაჟები VII საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით. მათ შორისაა ხანმეტი ლექციონარი, თამარ დედოფლის კუთვნილი ვანის სახარება, იოანე ოქროპირის ცხოვრება, „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხები. გამოფენის ფარგლებში ტარდება საგანმანათლებლო საუბრები, რომლის ძირითადი საკითხებია: ქართული დამწერლობა და მისი განვითარების ეტაპები, ხელნაწერი წიგნის კულტურა საქართველოში, ხელნაწერი წიგნის შექმნის ეტაპები, საწერი მასალა (პაპირუსი, ეტრატი, ქაღალდი), ხელნაწერების გადამწერები, კალიგრაფები, მომხატველები, ხელნაწერი წიგნის მინიატურა და განვითარება, ძველი ქართული მწერლობის კერები (საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარზე კი მოხდა ტაო-კლარჯეთის ექსპედიციის წინასწარი ანგარიშის პრეზენტაცია. პრეზენტაცია წარმოადგინეს ირმა ბერიძემ, ბუბა კუდავამ და გოჩა საითიძემ. მოხსენება შეეხებოდა 2011 წლის ოქტომბრის დასაწყისში ქართველი და უცხოელი მეცნიერების ექსპედიციას ტაო-კლარჯეთში, ანისსა და ჩანგლში.

# კულტურის სამინისტროში საავტორო კონცერტი ჩატარდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში კომპოზიტორ ელიზბარ ლომდარიძის საავტორო კონცერტი ჩატარდა. კომპოზიტორის ნაწარმოებები თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის „საქართველოს სინფონიეტამ“ შეასრულა და მას მაესტრო რევაზ ტაკიძე დირიჟორობდა. საღამოს მუსიკოსები, მოწვეული სტუმრები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და ელიზბარ ლომდარიძის შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ.

ელიზბარ ლომდარიძე 70-იანი წლების თაობის ქართველ კომპოზიტორთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტი საკომპოზიციო განხრით დაამთავრა, სწავლობდა პროფესორ დავით თორაძის კლასში.

მისი შემოქმედება ჟანრობრივად მრავალფეროვანია. იგი ავტორია სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური, საგუნდო, კამერულ-ინსტრუმენტალური და საფორტეპიანო ნაწარმოებებისა. შექმნილი აქვს საფორტეპიანო ჟანრში 200-მდე პიესა და ფოლკლორული კონცერტები ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში ელიზბარ ლომდარიძის სიმფონია №4 დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის ჟიურის მიერ წლის საუკეთესო ნაწარმოებად დასახელდა. კომპოზიტორს გადაეცა დიპლომი და პრემია „წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებისათვის“.

კულტურის სამინისტროს საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტზე შესრულდა ელიზბარ ლომდარიძის 2010 წლის საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებად დასახელებული კონცერტი №4 „სისატურა“ – სოლისტი ნინო რამინიშვილი. შედგა კამერული ორკესტრისთვის დაწერილი სიმფონია 2-ის თბილისური პრემიერა, რომელიც არაერთხელ შესრულდა საზღვარგარეთ და დიდი აღიარება მოიპოვა. საავტორო საღამო კი დაასრულა პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატმა, პროფესორმა, სახალხო არტისტმა, ჩელისტმა თამარ გაბარაშვილმა კონცერტით ჩელოსა და კამერული ორკესტრისთვის.

ელიზბარ ლომდარიძის კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ (დირიჟორი – სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი რევაზ ტაკიძე), სოლისტები – პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატი, პროფესორი, სახალხო არტისტი, ჩელისტი თამარ გაბარაშვილი და პიანისტი ნინო რამინიშვილი).

– დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ჩემი საავტორო კონცერტის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა. დიდი მადლობა კულტურის სამინისტროს, რომ ჩამთვალა ღირსად, მის დარბაზში ჩემი ნაწარმოებები აჟღერებულიყო. მადლობა ჩემს კოლეგებს აქ მოსვლისა და ჩემი მხარდაჭერისათვის. იმედი მაქვს, ჩემი შემოქმედება მსმენელისთვის კიდევ არაერთხელ აჟღერდება, – განაცხადა კომპოზიტორმა ელიზბარ ლომდარიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ საავტორო კონცერტი მხოლოდ 45 წუთს გაგრძელდა, კულტურის სამინისტროს საკონცერტო დარბაზში მისულმა მსმენელმა უდიდესი სიამოვნება მიიღო. როგორც კონცერტის დასასრულს ღონისძიების ორგანიზატორებმა შეკრებილ საზოგადოებას განუცხადეს, მსგავსი საღამოები სამინისტროს საკონცერტო დარბაზში ეტაპობრივად მოეწყობა.

# უკრაინაში ქართული კულტურის დღე ჩატარდება

22 ოქტომბერს კიევში შოთა რუსთაველის ძეგლთან ჩატარდება სრულიად უკრაინის კულტურულ-შემოქმედებითი აქცია „ქართული ხალხური ხელოვნება უკრაინაში“. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები, ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, თანამედროვე სიმღერის შემსრულებლები.

ქართული კულტურის დღეს მოეწყობა საქართველოს ეთნო-ტურისტული ცენტრების გამოფენა, ქართული ეროვნული კერძების, მინერალური წყლის „ნაბეღლავის“ გამოფენა-დეგუსტაცია. ღონისძიების ფარგლებში შედგება სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“ ახალგაზრდული ფრთის პრეზენტაციაც. საზეიმო ღონისძიებას გახსნიან უკრაინის კულტურის მინისტრი მიხეილ კულინიაკი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე, ცნობილი ქართველი პოეტი რაულ ჩილაჩავა და სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“ პრეზიდენტი ბესიკ შამუგია.

ქართულ კულტურულ-შემოქმედებით აქციას უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“ სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“, უკრაინის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროსა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს თანადგომით გამართავს.

ეკა ირემაშვილი

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები – 3090

### იყიდება

● ვყიდი მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრ კარკასს, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

● ავერლოკი ტოიოტა, უხმარი, ოთხძაფიანი, ფასი: 539 ლარი. საკერავი მანქანა, გერმანული, უხმარი, 21 ოპერაცია, ფასი: 419 ლარი. ტელ: 790-75-45-78. 571-75-45-77. 557-59-97-54. ზურა.

● ქობულეთის გარეუბანში, მდინარის ნაპირას, ტრასასთან ახლოს ტერიტორია ხეხილის და თხილის ბაღით, კოტეჯების ან სახლის ჩადგმის პერსპექტივით. ფასი: 20.000 $. ტელ: 551-10-00-09.

## განცხადებები

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით. მცენარეული ვიტამინების, მინერალების და ამინომჟავების კომპლექტი პლუს ვარჯიშები, 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 257-66-90 (საღამოს); 593-44-58-65 ექიმი ქ-ნი დეა.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდგენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

# ემილიო ბუტრაგენიო: „კრუიფის „ბარსა“ ბრწყინვალე იყო, თუმცა ახლანდელი უკეთესია“

**მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ემილიო ბუტრაგენიო ესპანურ მედიას ესაუბრა, სადაც მან არა მარტო „სამეფო კლუბის“ საქმეები, არამედ ზოგადად ფეხბურთი მიმოიხილა.**


ემილიო ბუტრაგენიო

***— დღევანდელი „რეალი“ დიდ კამათს იწვევს. ზოგიერთის აზრით, გუნდი ფანტასტიკურია, თუმცა, ბევრი თვლის, რომ კიდევ აკლია რაღაც ღირებულებები.***

— კლუბის ისტორიაში ბრწყინვალე წლები ყოფილა. ალბათ, საუკეთესო პერიოდი ალფრედო დი სტეფანოს მოსვლით დაიწყო, შემდეგ იყო სხვადასხვა თაობები, მათ შორის, ჩემიც. ამისკენ მიისწრაფვის დღევანდელი „რეალიც“.

***— რას იტყვით ფლორენტინო პერესის გამოსვლაზე? პრეზიდენტმა კლუბში არსებულ ყველა სასიკეთო პროცესზე ისაუბრა.***

— „რეალში“ ყოველთვის იყვნენ დიდი პიროვნებები. მწვრთნელზე თუ ვისაუბრებთ, ჟოზე მოურინიოს ბევრი ღირსება აქვს, მრავალმხრივ პროფესიონალი კაცია. ის მცირე დეტალებსაც მნიშვნელობას ანიჭებს და იბრძვის სრულყოფილებისთვის, დღიდან დღემდე სურს გუნდის პროგრესი. მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ „რეალის“ თამაში მოურინიოს პიროვნების გამოხატულებაა. პორტუგალიელი ძალიან მომთხოვნია.

***— თქვენი აზრით, რა არ ჰყოფნის ჟოზეს?***

— ის ძლიერი ადამიანია და ზოგჯერ უჭირს ჩარჩოებში ყოფნა. თუ რაიმე არ მოსწონს, ხმამაღლა ლაპარაკობს, ეს კი ზოგიერთებს არ სიამოვნებთ.

***— ჩემპიონთა ლიგა და პრიმერადივიზიონი — თუ მოურინიომ ამ ორიდან ვერც ერთი ვერ მოიგო, მაინც დარჩება გუნდში?***

— იმედია, ამ სეზონში ტიტულებს მოვიგებთ. და თუ ასე არ მოხდება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთში მთავარი სტაბილურობაა. მოურინიოს კიდევ 2 წელი აქვს კონტრაქტი და კარგი იქნება, თუ მუშაობას გააგრძელებს. მერე კი ვნახოთ.

***— რა რჩევას მისცემდით მას?***

— მხოლოდ ამას — მშვიდად, მასტერ! თუმცა, ეს თავად კარგად იცის, რადგან ტოპ-კლასის ფეხბურთელებთან მუშაობა მისი სტიქიაა. დარწმუნებული ვარ, ჟოზეს „რეალში“ ტრიუმფი ელის.

***— გაზეთ ას-ის გამოკითხვამ ცხადყო, რომ ხალხს „ბარსელონა“ უფრო უყვარს, ვიდრე „რეალი“.***

— ხშირად დავდივარ ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში და უცხოეთშიც, ამიტომაც გარწმუნებთ, რომ „რეალის“ მიმართ ყველგან პატივისცემა იგრძნობა. 50 ქვეყანაშია „სამეფო კლუბის“ ფან-კლუბი და მუდმივად ვიღებთ თხოვნას, რომ კიდევ მეტი გაიხსნას. ვერ ვგრძნობ, თითქოს ხალხს „ბარსა“ უფრო უყვარდეს. მეტიც — მგონი, პირიქითაა.

***— მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი და მდიდარი იყავით და უამრავი თაყვანისმცემელი გყავდათ, საკუთარი თავი არასოდეს შეგიქიათ.***

— აჰ, მესმის მინიშნება... რონალდუ ნამდვილი პროფესიონალია. მისი მინდორზე ქცევა სანიმუშოა. გამუდმებით ურტყამენ ფეხებში და ითმენს. არასოდეს მითქვამს, რომ ის არასპორტულად იქცევა მინდორზე. არც მსაჯებს ლანძღავს. ვფიქრობ, არასწორი იმიჯი შეუქმნეს პორტუგალიელს.

***— ის ნერვიულობს, როდესაც ტრიბუნებიდან უყვირიან — მესი, მესი?***

— ძნელია, როცა შენი მწყობრიდან გამოყვანა სურთ. როცა ვინმეს მუდმივად გადარებენ და თან ამას ბოროტად აკეთებენ, თავის შეკავება რთულია.

***— რეალურად ძნელი აღსაქმელი იყო მომენტი, როცა მოურინიომ ტიტო ვილიანოვას უხეშად ხელი ჰკრა.***

— ტრიბუნიდან ვერ დავინახე, მხოლოდ შემდეგ ტელევიზორში დავაკვირდი ამ ეპიზოდს. მოურინიომ ხომ უკვე მოიხადა ბოდიში. წარმოვიდგინოთ, გასულ სეზონში 21 დღის განმავლობაში ოთხჯერ ვეთამაშეთ კატალონიელებს და სუპერთასის დროსაც ამიტომ იყო ნერვების წყვეტა.

***— ფიქრობთ, რომ ჟოზეს პროვოკაცია მოუწყვეს?***

— ამბობენ, ასე იყოო. არ მომწონს, როცა ყველაფერში დამნაშავედ „რეალს“ თვლიან. არ მინდა ცალსახად საუბარი, მაგრამ ყველაფერს ანალიზი სჭირდება და, თუ ერთი გუნდი აშავებს, მეორეც არაა უბრალო, მისი გაკრიტიკებაც შეიძლება.

***— გასაგებია. ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელად ვის თვლით?***

— ვინც მინახავს, მათ შორის გამორჩეული დიეგო მარადონაა. იოჰან კრუიფიც ძალიან ძლიერი იყო, თუმცა, მაინც მარადონა.

***— და თქვენი დროინდელი „რეალის“ საუკეთესო ხუთეულიდან ვინ იყო საუკეთესო?***

— საფეხბურთო თვალსაზრისით, მარტინ ვასკესი. ისე კი, მეგობრობას ყველასთან ვინარჩუნებ.

***— დღევანდელი „ბარსელონა“ საუკეთესოა მათ შორის, რაც გინახავთ?***

— კრუიფის „ბარსა“ ბრწყინვალე იყო, თუმცა ახლანდელი უკეთესია... თანაც, ხოსეპ გვარდიოლას გუნდში ბევრი ახალგაზრდაა და ვინ იცის, კიდევ რამდენს მიაღწევენ. „რეალისთვის“ კი ეს სტიმულია და ვნახოთ, რას ვიზამთ მათ წინააღმდეგ.

# აპოელი გაოცებას განაგრძობს

**პირველად კვიპროსული ფეხბურთი ჩემპიონთა ლიგაზე თემურ ქეცბაიამ და „ანორთოსისმა“ წარადგინეს, თუმცა, მიმდინარე გათამაშებაში გაოცებას იწვევს იქაური „აპოელის“ თამაშიც. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრულად.**

### E ჯგუფი

**ლევერკუზენი-ვალენსია 2:1**

**0:1 ხონასი (25), 1:1 შიურლე (53), 2:1 სემი (56)**

„ვალენსია“ ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა, თუმცა 3 ტურის შემდეგ რთულ მდგომარეობაშია. არადა, ლევერკუზენში გამართული მატჩის დასაწყისს ასეთი არაფერი ეტყობოდა — „ღამურებმა“ კარგად ჩაატარეს პირველი ტაიმი და ანგარიშში დაწინაურებაც მოახერხეს, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც უქულოდ დარჩნენ. უფრო ცუდი ის არის, რომ მე-2 ადგილთან უკვე 4 ქულა აშორებთ და მხოლოდ ევროპის ლიგაზე გამსვლელ პოზიციას იკავებს.

ანგარიში 25-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც მარცხენა ფლანგიდან სოლდადოს პასს საჯარიმოში ეულად მყოფი ხონასი დაუხვდა. შეხვედრის ბედი კი მე-2 ტაიმის დასაწყისში, სამწუთიან მონაკვეთში გადაწყდა, როდესაც მასპინძლებმა 2 უპასუხო გოლი გაიტანეს. 53-ე წუთზე, კადლეცის ჩაწოდების შემდეგ, სტუმრებმა ბურთი ცუდად მოიგერიეს და საჯარიმოს წინა ხაზთან მდგომმა შიურლემ ანგარიში გაათანაბრა. სამ წუთში ლევერკუზენელებმა კონტრშეტევა განახორციელეს, რომელიც ეფექტური და ზუსტი დარტყმით სემმა დაასრულა.

**ჩელსი-გენკი 5:0**

**1:0 მეირელეში (8), 2:0, 3:0 ტორესი (11, 27), 4:0 ივანოვიჩი (42), 5:0 კალუ (72)**

ჯგუფს ლონდონის „ჩელსი“ ლიდერობს, რომელსაც ბელგიური „გენკის“ ძლევა არ გასჭირვებია. ანგარიში მე-8 წუთზე გაიხსნა, როდესაც მეირელეშმა შორიდან უძლიერესად გაისროლა. სამ წუთში ლემპარდის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა ტორესმა არისტოკრატები 2 ბურთით დააწინაურა, ხოლო 27-ე წუთზე ესპანელმა დუბლი გაიფორმა, როდესაც მეირელეშის ფლანგური გადაცემა გოლად თავური დარტყმით აქცია და მატჩის ბედი იქვე გადაწყვიტა. ლონდონელები ამას არ დასჯერდნენ და ჯერ კიდევ პირველივე ტაიმში გოლი ივანოვიჩმაც გაიტანა.

72-ე წუთზე ტორესს ჰეთ თრიქის გაფორმება შეეძლო და, მართალია, ახლო მანძილიდან მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე კალუმ იმარჯვა, რომელმაც შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| 2.ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| 3.ვალენსია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 4.გენკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |

### F ჯგუფი

**მარსელი-არსენალი 0:1**

**0:1 რემსი (90)**

დღის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში აქამდე გოლგაუშვებელი და ქულადაუკარგავი „მარსელისთვის“ საბედისწერო ბოლო წუთი გამოდგა. „არსენალს“ 3 ქულა შეცვლაზე შესულმა აარონ რემსიმ მოუტანა.

ლონდონელთა 20 წლის უელსელმა ნახევარმცველმა მე-2 დამატებულ წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჯერუს მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მიიღო და ახლო კუთხეში დარტყმით, თამამად ვიტყვით, მის გუნდს შემდეგ ეტაპზე გამსვლელი 3 ქულა მოუტანა.

**ოლიმპიაკოსი-დორტმუნდი 3:1**

**1:0 ჰოლებასი (8), 1:1 ლევანდოვსკი (26), 2:1 ჯებური (40), 3:1 მოდესტო (78)**

ჩემპიონთა ლიგაზე ძალიან ცუდად თამაშობს გერმანიის ბუნდესლიგის შარშანდელი ჩემპიონი. „დორტმუნდი“ ბოლო ადგილზეა და შანსები იმისა, რომ პლეი ოფში გავა, ძალიან მცირეა.

პირეოსში გამართულ მატჩში მასპინძლებმა ანგარიში მე-8 წუთზე გახსნეს, როდესაც მარკანოს ჩაწოდებულს ჰოლებასის გოლი მოჰყვა — ბერძენმა ფეხბურთელმა თავური დარტყმით იხეირა. 26-ე წუთზე ლევანდოვსკიმ საჯარიმოს წინა ხაზიდან დარტყმით წონასწორობა კი აღადგინა, მაგრამ შესვენებაზე გუნდები მაინც მასპინძელთა უპირატესობით გავიდნენ. ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მეტოქის ახლოს მყოფმა ჯებურმა ძლიერი დარტყმით წინ კვლავ „ოლიმპიაკოსი“ გაიყვანა. შეხვედრას წერტილი 78-ე წუთზე დაესვა, როდესაც იბაგასას ფლანგური პასი გოლად მოდესტომ აქცია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| 2.მარსელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| 3.ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| 4.დორტმუნდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

### G ჯგუფი

**შახტარი-ზენიტი 2:2**

**1:0 ვილიანი (15), 1:1 შიროკოვი (33), 2:1 ადრიანო (45), 2:2 ფაიზულინი (60)**

მე-10 წუთზე შიროკოვმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი

პოსტსაბჭოური ჯახი თვალსასეირო სანახავი გამოდგა — უფრო მატჩის პირველი ტაიმი, რომელშიც 3 გოლი და ერთი გაცუდებული პენალტი ვნახეთ. „შახტარმა“ და „ზენიტმა“ ჯამში 4 გოლი კი გაიტანეს და ერთურთს მშვიდობიანად გაეყარნენ, თუმცა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს. ჯერ კიდევ 0:0 იყო, როდესაც მე-10 წუთზე ანგარიშის გახსნა სტუმრებს შეეძლოთ, მაგრამ შიროკოვმა თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა. მე-15 წუთზე საჯარიმოს წინა ხაზიდან ეფექტური დარტყმით ანგარიში ვილიანმა გახსნა. 33-ე წუთზე ბუხაროვის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა შიროკოვმა რიბკა მოატყუა და ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია. ტაიმი კი მაინც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 45-ე წუთზე გოლი ლუიზ ადრიანომ გაიტანა.



მომენტები მეორე ტაიმშიც ბლომად იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი გავიდა — მე-60 წუთზე მასპინძელთა მცველების უხეში შეცდომით ფაიზულინმა ისარგებლა და წინგამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

**პორტუ-აპოელი 1:1**

**1:0 ჰალკი (13), 1:1 ალმეიდა (19)**

მიმდინარე გათამაშების უმთავრეს აღმოჩენაა კვიპროსული „აპოელი“, რომელიც ჯ ჯგუფის გამოკვეთილ აუტსაიდერად მიიჩნეოდა, მაგრამ 3 ტურის თავზე კვლავაც წაუგებელნი არიან და მეტიც — ისინი ჯგუფს ლიდერობენ.

თუ აქამდე მათ თამაშებს სენსაციური და შემთხვევითი ეწოდა, ახლა უკვე „დრაგაუს“ სტადიონზე დაამტკიცეს, რომ ფეხბურთის თამაში სხვებზე ნაკლებად არ შეუძლიათ.

არადა, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს და ყველამ იფიქრა, რომ კვიპროსელთა წაგების დრო დადგა. მე-13 წუთზე ჰალკმა საჯარიმო დარტყმა დაახლოებით 30 მეტრიდან არცთუ კარგად შეასრულა, მაგრამ მეკარემ უხეში შეცდომა დაუშვა და ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა. თუმცა, ასე არ ფიქრობდნენ „აპოელის“ ფეხბურთელები — კვიპროსელი მეკარის შეცდომას ასეთივე ქმედებით უკვე პორტუგალიელმა უპასუხა და კვიპროსელებს ისტორიული სენსაციის შანსი გაუუმჯობესა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აპოელი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| 2.ზენიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| 3.პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| 4.შახტარი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |

### H ჯგუფი

**მილანი-ბატე 2:0**

**1:0 იბრაჰიმოვიჩი (33), 2:0 ბოატენგი (70)**

ბელორუსული კლუბი ამ მატჩში მთლად უშანსოდ არ ყოფილა და მეტოქის კარს რამდენჯერმე სახიფათოდ დაემუქრა, თუმცა „მილანმა“ მაინც დამაჯერებლად იმარჯვა.

იტალიელებმა ანგარიში 33-ე წუთზე გახსნეს, როდესაც საჯარიმოს წინა ხაზიდან იბრაჰიმოვიჩმა ძლიერად დაჰკრა.

70-ე წუთზე საჯარიმოს გარედან ძლიერად უკვე ბოატენგმა დაარტყა, რომელმაც შეხვედრას წერტილი ლამაზი გოლით დაუსვა.

**ბარსელონა-პლზენი 2:0**

**1:0 ინიესტა (10), 2:0 ვილია (82)**

დიდი უპირატესობის მიუხედავად, „ბარსელონამ“ მეტოქეს მხოლოდ 2 გოლი გაუტანა.

ანგარიში მე-10 წუთზე გაიხსნა, როდესაც ინიესტამ ბურთი მესისთან გაითამაშა, საჯარიმოში შეჭრილმა ერთი მცველი ელეგანტური მოძრაობით ჩამოიშორა და მეკარეს ახლო კუთხეში გაუტანა. მთელი მატჩის განმავლობაში „ბარსამ“ არაერთი ძალზე სახიფათო მომენტი გააცუდა. მარტო მესიმ ბურთი ძელს 2-ჯერ მოარტყა. შეხვედრას კი წერტილი 82-ე წუთზე ვილიამ დაუსვა, თუმცა ამ გოლშიც ლომის წილი მესიმ შეიტანა — ჩეხებმა არგენტინელი ვარსკვლავის დარტყმული ბურთის განეიტრალება კი მოახერხეს, მაგრამ დაახლოებით 10 მეტრიდან ვილიას დარტყმულს წინ ვეღარავინ აღუდგა.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მე-2 გათამაშებაში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც გუნდმა კარში თუნდაც არაზუსტად დარტყმა მთელი მატჩის განმავლობაში ვერ მოახერხა და ეს გუნდი ამჯერად „პლზენი“ აღმოჩნდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 |
| 2.მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 3.პლზენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| 4.ბატე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ლევერკუზენი-ვალენსია ............ 2:1
ბარსელონა-პლზენი ............ 2:0
მარსელი-არსენალი ............ 0:1
მილანი-ბატე ............ 2:0
ოლიმპიაკოსი-დორტმუნდი ............ 3:1
პორტუ-აპოელი ............ 1:1
ჩელსი-გენკი ............ 5:0
შახტარი-ზენიტი ............ 2:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ლესტერი-უოტფორდი ............ 2:0

**ჩეხეთი. თასი**

სიგა-უსტი ............ 1:0
დუკლა-იაბლონეცი ............ 3:2
კარვინა-ტეპლიცე ............ 1:3

**აშშ. მლს**

ვაშინგტონი-პორტლენდი ............ 1:1

**ბრაზილია. სერია ა**

სანტოსი-ბოტაფოგო ............ 2:0

### კალათბურთი

**ევროლიგა. ულების თასი**

უნიქსი-მონტეპასკი ............ 71:79
ფენერბახჩე-ლაბორალი ............ 66:69
პროკომი-გალათასარაი ............ 72:76
ზაზა ფაჩულია: 1 მოხსნა
კანტუ-ნანსი ............ 80:69
მანუჩარ მარკოიშვილი: 8 ქულა, 3 პასი;
გიორგი შერმადინი: 8 ქულა, 6 მოხსნა

### ხელბურთი

**ევრო-2012. შესარჩევი ეტაპი. ქალები**

რუსეთი-პოლონეთი ............ 32:21
უკრაინა-შვეიცარია ............ 31:20
უნგრეთი-აზერბაიჯანი ............ 41:19
სერბეთი-საბერძნეთი ............ 36:20
ხორვატია-იტალია ............ 40:15
ჩერნოგორია-დ.ბრიტანეთი ............ 34:18
რუმინეთი-პორტუგალია ............ 35:24
გერმანია-ბელარუსი ............ 27:19
საფრანგეთი-თურქეთი ............ 34:35
ავსტრია-ჩეხეთი ............ 26:36
მაკედონია-ლიტვა ............ 34:35
დანია-სლოვაკეთი ............ 35:23

### ჩოგბურთი

**ატპ. მოსკოვი. პირი**

დავიდენკო-გაბაშვილი ............ 7:5;6:2
ბენეტო-დონსკოი ............ 6:4;6:3

**ატპ. სტოკჰოლმი. პირი**

ანდერსონი-ჰაასე ............ 6:7;6:4;6:4
რაონიცი-პეშნერი ............ 6:3;6:3
რიდერსტედი-რიშიკი ............ 4:6;6:3;3:6
დელ პოტრო-ბლეიკი ............ 4:6;4:6

**ვტა. ლუქსემბურგი. პირი**

პენეტა-სევასტოვა ............ 3:6;2:6
ივანოვიჩი-რაზანო ............ 7:6;6:4
აზარენკო-ზაპლავოვა ............ 6:2;6:4
გერგესი-პაშეკი ............ 6:4;6:2

**ვტა. მოსკოვი. პირი**

კანეპი-სკიავონე ............ 6:4;5:7;7:6
ვესნინა-კუდრიავცევა ............ 6:0;6:1
პეტროვა-დუშევინა ............ 2:6;6:7
რადვანსკა ა.-შაფარჟოვა ... 46:64:46

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ტორონტო-ვინიპეგი ............ 3:3(1:0ბ)

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

შედით საიტზე atb.ge

# ამერიკელი ხმის რეჟისორი თეატრალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია

ეკა ირემაშვილი

ოთხი „ოსკარის" მფლობელი ხმის რეჟისორი მარკ ბერგერი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. ეს წოდება და დიპლომი მას უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი მარგველაშვილმა მას პირადად გადასცა.

კომპანია „ქართული ფილმის" ბაზაზე, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, სექტემბრიდან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის კალიფორნიის, ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკ ბერგერმა ხმის რეჟისურის 6-კვირიანი კურსი წაიკითხა, რის


მარკ ბერგერი

შემდეგაც სტუდენტებს სერტიფიკატები გადაეცემათ.

– მარკ ბერგერს მიღებული აქვს კინოაკადემიის 4 ჯილდო ხმის ინოვაციური გამოყენებისათვის ფილმებში „აპოკალიფსი დღეს", „ამადეუსი", „ინგლისელი პაციენტი" და „კარგი გუნდი". ასევე მისი ნამუშევრებიდანაა მილოშ ფორმანის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", ფრენსის ფორდ კოპოლას „ნათლიმამა", სტივენ სპილბერგის „მიუნხენი" და მრავალი სხვა ცნობილი კინოშედევრი. დღეისათვის მარკ ბერგერი ხელმძღვანელობს ხმის რეჟისურის სპეციალობას ბერკლის უნივერსიტეტში, – განაცხადა თეატრალური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ჯაბა სიხარულიძემ.

რობერტ სტურუას, ნელე ჰერტლინგის, სტივ ოლსენის, ოთარ იოსელიანისა და ბეჰროუზ გჰარიბპურის შემდეგ ბატონი მარკ ბერგერი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგით მეექვსე საპატიო დოქტორია.

ამერიკელი ხელოვანისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შემდეგ კი კინოსტუდიაში შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები და დაინტერესებული პირები.

– კალიფორნიის, ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორი მარკ ბერგერი მასტერკლასებს 12 სექტემბრიდან ატარებს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმის რეჟისურის სპეციალობის სტუდენტთათვის.

მასტერკლასების დასრულებისას გაიცემა სერტიფიკატები. პროექტი კომპანია „ქართული ფილმის" ბაზაზე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა, – განმარტა ჯაბა სიხარულიძემ.

# თემურ წიკლაური იუბილარია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მაცია იმ საღამოსთან დაკავშირებით, რომელიც 4 ნოემბერს მსმენელს ელოდება.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, ორსაათიანი პროგრამის განმავლობაში მომღერალი თავის ძველ ჰიტებთან ერთად მსმენელისთვის რამდენიმე ახალ სიმღერასაც შეასრულებს. მათთან ერთად კონცერტზე რამდენიმე დუეტიც აჟღერდება.

„ვმღერი ისე, როგორც ემღერება სულს" – ასე ეწოდება კონცერტს, რომელზეც თემურ წიკლაური თავის მსმენელს იმ სათქმელზე უმღერებს, რომელიც მას წლების განმავლობაში დაუგროვდა.

**თემურ წიკლაური, მომღერალი:**

– ჩემი საკონცერტო პროგრამა ცოტა დიდია, რადგან სათქმელი ბევრია. სათქმელი რომ არ გვქონოდა, ალბათ არც ეს კონცერტი დაიგეგმებოდა. მართლა დაგროვდა სათქმელი, ამიტომაც დახმარებისთვის ჩემს საუკეთესო მეგობარს, ჯემალ ბაღაშვილს მივმართე. სწორედ ის გახლავთ ამ საიუბილეო კონცერტის რეჟისორი. მასთან ერთად განისაზღვრა, რა უნდა ყოფილიყო საკონცერტო პროგრამაში. რეპერტუარი კი დიდი გამოვიდა, მაგრამ პროგრამა დატვირთული იქნება ხალისიანი სიმღერებით. შესრულდება ახალი ნაწარმოებებიც.

***– ვინ მიიღებს მონაწილეობას თქვენს კონცერტში?***

– კონცერტში მონაწილეობას ჩემი ქალიშვილი და მეუღლე მიიღებენ. ჩვენთან ერთად კი იმღერებს კახა ონაშვილის ანსამბლიც.

***– თქვენთან ერთად არ იქნებიან ივერიელები?***

– რადგან ეს პირადად ჩემი საიუბილეო საღამოა, კონცერტში მონაწილეობას ივერიელები არ მიიღებენ.

**ჯემალ ბაღაშვილი, კონცერტის რეჟისორი:**

– დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი საღამო თემურ წიკლაურის 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდება. კონცერტის პროგრამა ჟანრობრივად მრავალფეროვანი იქნება. მართალია, რეპერტუარი ცოტა დიდი გამოვიდა, მაგრამ მსმენელი ნამდვილად ისიამოვნებს.

***– რა ელოდება 4 ნოემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში მოსულ მაყურებელს?***


ჯემალ ბაღაშვილი

– 4 ნოემბერს, ჩემი ღრმა რწმენით, დიდი სიამოვნება ელის დიდ საკონცერტო დარბაზში მოსულ მაყურებელს. ეს იქნება გემოვნებიანი კონცერტი, თავისი ძველი და ახალი სიმღერებით. თემურ წიკლაურის სოლოკონცერტი იქნება გამორჩეული როგორც თავისი რეპერტუარით, ასევე უამრავი სიურპრიზით, ივერიული სულით. მოკლედ, 4 ნოემბერს მსმენელს ძალზე თბილი და საინტერესო კონცერტი ელოდება, რომელსაც ასე მონატრებულია ჩვენი მაყურებელი.

# ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას!

ეკა ირემაშვილი

„ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას!" – ასეთია ახალი ვიდეორგოლის მთავარი გზავნილი, რომელიც საავტორო უფლებების დაცვის თემაზე გაკეთდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა ავტორთა საზოგადოების მიერ თითქმის უწყვეტად ისმის საზოგადოებაში, საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ჯერჯერობით წინსვლა არ იგრძნობა.

ახალი კლიპის პრეზენტაცია „საქპატენტში" გაიმართა. სოციალურ კლიპში ცნობილი ქართველი ხელოვანები მონაწილეობენ, რომლებიც მოუწოდებენ საზოგადოებას, არ დაარღვიონ საავტორო უფლებები.

საინფორმაციო შინაარსის ვიდეოკლიპი „საქპატენტისა" და საავტორო უფლებათა ასოციაციის უშუალო ინიციატივით შეიქმნა. კლიპი უახლოეს მომავალში ტელეეთერის საშუალებით გავრცელდება და საზოგადოებას ამცნობს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის შესახებ.

– ეს სოციალური კლიპი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. ჩვენი ერთადერთი მოთხოვნაა, არ დაირღვეს საავტორო უფლებები. კლიპში ქართული ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები მონაწილეობენ. ისინი საზოგადოებას საავტორო უფლებების დაცვისკენ პირადად მოუწოდებენ. ეს თემატიკა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან საავტორო უფლებების დაცვა საქართველოში ჯერ კიდევ


ირაკლი ღვალაძე

პრობლემური საკითხია, – განმარტა „საქპატენტის" თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძემ.

კლიპის პრეზენტაციაზე ისიც ითქვა, რომ „საქპატენტი" იწყებს აქციებს, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ამ კლიპის ტელესივრცეში დატრიალება იქნება.

– ჩვენ კარგად გვესმის, რომ მხოლოდ კლიპის დატრიალება არანაირ შედეგს არ მოგვიტანს, ამიტომ გვინდა, გარდა კლიპისა, დამზადდეს სხვადასხვა სახის ფლაერები და ბროშურები, რომლებიც საზოგადოებაში გავრცელდება და ყველას ეცოდინება, როგორ დაიცვას საავტორო უფლებები. ამ ვიდეორგოლის ძირითადი გზავნილია „ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას!". ამით ჩვენ ვცდილობთ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ყველას, რომ საავტორო უფლების დარღვევა დანაშაულია და ყველა ვალდებულია, დაიცვას ავტორის უფლება, ამით კი ყველა ადამიანი, რომელმაც იშრომა, თავის ჰონორარს მიიღებს, – განაცხადა ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ.

# კინოტერმინოლოგიის კვლევა დაწყებულია

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ქართული კინოტერმინოლოგიის შემუშავების პროექტის ციფრული ვერსიის პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაციას საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წევრები, ლექსიკონზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფი, პროექტის პარტნიორები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა ესწრებოდნენ.**

ეკა ირემაშვილი

– ამ პროექტის მიზანია, საერთაშორისო კინოტერმინოლოგიის ანალოგიური ქართული შესატყვისები გაჩნდეს თანამედროვე სივრცეში. ეს ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და კვლევითი მიმართულების გაძლიერებას და თან პროფესიული საქმიანობის დამყარების დროს უცხოელ და ქართველ კინოპროფესიონალებს შორის იარსებებს სწორი ქართული თარგმანი, – აღნიშნა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ტატიშვილმა.

კინოტერმინოლოგიის კვლევისა და ქართულენოვანი შესატყვისების შემუშავების პროექტს კინოორგანიზაცია „ჯი-ეფ-ემ ფილმბრიჯი" ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

– ეს ლექსიკონი მიზნად ისახავს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ახალი ქართული კინოტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას. ეს ხელს შეუწყობს კინოს სფეროში კვლევისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას, ასევე გამარტივდება თანამშრომლობა კინოპროფესიონალებს შორის, რაც ქართული კინოინდუსტრიისთვის მეტად მნიშვნელოვანია, – განაცხადა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ტატიშვილმა.


თამარ ტატიშვილი

პროექტის პირველ ეტაპზე მეცნიერთა და კინოპროფესიონალთა ჯგუფმა გამოიკვლია დასავლეთის კინოინდუსტრიის 10.000-მდე ტერმინი, თანამედროვე და კლასიკური დარგობრივი სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ნაშრომები, გლოსარიუმები, ლექსიკონები, დოკუმენტაცია და სხვა მნიშვნელოვანი მასალა. შემდგომ განხორციელდა სხვადასხვა მიმართულების კინოტერმინოლოგიის რამდენიმე ათასი პრიორიტეტული ტერმინების სიის მოძიება, დარგობრივად დახარისხება, მოკლე ქართულენოვანი აღწერა და პროექტის პარტნიორებთან ერთად თითოეული ტერმინის ქართული შესატყვისის საწყისი ვარიანტის შემუშავება.

– მთავარია, რომ პროექტზე მუშაობა დაწყებულია. ეტაპობრივად ჩვენ აუცილებლად გავალთ ბოლოში და ქართულ კინოტერმინოლოგიასთან დაკავშირებით აუცილებლად


ნიკოლოზ რურუა

გვექნება წინსვლა. პროექტის დასკვნითი ნაწილია განხილვა. ამ ეტაპზე გათვალისწინებულია ტერმინოლოგიის ინოვაციური სისტემების ინსტიტუტის ინტერნეტ-გლოსარიუმში გამოქვეყნება, რაც ორი თვის განმავლობაში კინოპროფესიონალებს საშუალებას მისცემს, გაეცნოს ტერმინებს და მონაწილეობა მიიღოს ქართული შესატყვისების დახვეწაში, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

კინოტერმინოლოგიის განხილვის ეტაპის დასრულების შემდეგ შემუშავებული ტერმინოლოგიის ლექსიკონი წიგნის სახით გამოიცემა. ლექსიკონზე მუშაობენ რედაქტორი ქეთევან ჯანელიძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი ზვიად დოლიძე, დარგობრივი ხელმძღვანელი გიორგი ხარებავა, ენობრივი მოდერატორი კახა გაბუნია, დარგობრივი კონსულტანტი გია ჭუბაბრია.

– პროექტი ითვალისწინებდა საერთაშორისო მასშტაბით დასავლეთში დამკვიდრებული კინო და ტელე ინდუსტრიაში ტერმინოლოგიის მოკვლევას. ამ 10 ათასი ტერმინოლოგიიდან განხორციელდა მიმართულების მიხედვით ტერმინების დახარისხება და დარგობრივ ექსპერტებთან ერთად შევიმუშავეთ ქართული შესატყვისების პირველი ვარიანტები, – აღნიშნა პროექტის ავტორმა ნოშრევან ჩხაიძემ.

პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ინოვაციური სისტემების ინსტიტუტი.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება; 2. ბრიტანული ყველი; 3. გზის გადასაკეტი მოწყობილობა საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან; 4. უმწიფარი, მკვახე ყურძენი; 5. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 7. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. პროდუქციაზე დაკრული სასაქონლო ნიშანი; 13. აჭარული ხის სახლი; 15. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 16. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 18. თვალის ფერადი გარსი; 19. სკულპტურული ქმნილება.

**თარაზულად**: 6. საფრანგეთის სამძებრო პოლიცია; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 10. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 12. ფინანსური და სავაჭრო გარიგებების ადგილი; 14. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის" ავტორი; 17. ქართველ მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 20. საჯარისო შენაერთი; 21. ზუსტი ელექტრონული ხელსაწყოების დასამზადებლად გამოყენებული რკინისა და ნიკელის შენადნობი; 22. ამერიკული ზებგერითი სამხედრო-სადაზვერვო თვითმფრინავების სერია; 23. ხასხასა მწვანე ფერის მინერალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სკუტერი; 2. ვიდიჩი; 3. აკვარელი; 4. პატეფონი; 7. ნატახტარი; 8. კვარტალი; 12. სპინინგი; 14. მექანიკა; 16. კურიოზი; 17. ჰეტმანი; 19. ბუკე; 20. სვია.

**თარაზულად:** 5. სკალპელი; 6. ესკალაცია; 9. ვენერა; 10. ჩაქურა; 11. ბანჯო; 13. „ოპუსი"; 15. მედუზა; 18. გურჯი; 21. „მილენიუმი"; 22. ოროველა; 23. ბექთარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მუხიანი; 2. ალგეთი; 3. გარიბალდი; 4. ღვინიო; 5. „გორდონსი"; 7. არნო; 11. ბოჭორმა; 13. ექსპოზე; 15. ჭუპრი; 16. „პორშე"; 18. ამანი; 19. რევიუ.

**თარაზულად:** 6. უშქარი; 8. სლოგანი; 9. „როიტერი"; 10. აპლომბი; 12. „ციცქა"; 14. ბორანო; 17. დისპაშერი; 20. წირქოლი; 21. „გრემიო"; 22. ნუნისი; 23. ჰეროდოტე.

# მეტროსადგურ „დელისთან“ „უმუშევართა კავშირმა დასაქმებისთვის“ აქცია გამართა


ალექსანდრე შალამბერიძე

გუშინ უმუშევართა კავშირის თავმჯდომარემ თამარ იოვაშვილმა და და „თავისუფალ ასოციაციათა კავშირის“ ხელმძღვანელმა ალექსანდრე შალამბერიძემ აქციათა კვირეულის ფარგლებში მეტროსადგურ „დელისთან“ პირველი აქცია გამართეს.

როგორც „თავისუფალ ასოციაციათა კავშირის“თავმჯდომარე ალექსანდრე შალამბერიძემ განაცხადა, აქციის მიზანია, მოძრაობის წევრებმა დაანახონ საზოგადოებას, რომ „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ უმუშევართა კონსტიტუციური უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგას.

აქციის ფარგლებში უმუშევართა კავშირმა მოქალაქეებს ასოციაციაში გაწევრიანებისკენ მოუწოდა და მოქალაქეებს ასოციაციის სავიზიტო ბარათები დაურიგა. სავიზიტო ბარათებზე საკონტაქტო ინფორმაციის გარდა მითითებულია უმუშევართა კავშირის ოფიციალური ვებგვერდის მისამართი. აღნიშნულ მისამართზე მოქალაქეებს დარეგისტრირება ასოციაციის ოფისში მისვლის გარეშე შეუძლიათ.

როგორც შალამბერიძემ აღნიშნა, უმუშევართა კავშირში მოქალაქეთა რეგისტრაცია აუცილებელია, იმისთვის, რომ მთავრობამ უმუშევართა პრობლემას ყურადღება მიაქციოს.

აქციათა კვირეული უმუშევართა კავშირისა და „თავისუფალ ასოციაციათა კავშირის“ ორგანიზებით თბილისის სხვადასხვა უბანში ყოველდღე ჩატარდება და 27 სექტემბრამდე გაგრძელდება.

**მედიანიუსი**

# პარლამენტში შიდსის შესახებ სემინარები ჩატარდა


გიგი წერეთელი

გაეროს მოსახლეობის ფონდის ინიციატივით, გაეროს კვირეულის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტში აივ/ინფექციისა და შიდსის შესახებ სემინარები ჩატარდა.

სემინარზე განხილული იყო საკითხები აივ ინფექციის/შიდსის პრევენციის შესახებ. სემინარის მონაწილეებმა ასევე განიხილეს აივ ეპიდემიის თავისებურებები საქართველოში, მასთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია, შიდსის საპასუხო გლობალური და ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგიები, გაეროს როლი ეროვნული საპასუხო ღონისძიებების გაძლიერებაში.

სემინარები ათასწლეულის განვითარების მიზნების საპარლამენტო ჯგუფის, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს ერთიანი პროგრამა აივ/შიდსზე (UNAIDშ) თანამშრომლობით მომზადდა და გაეროს ერთობლივი პროექტის „გაერო ზრუნავს“ ფარგლებში გაიმართა.

სემინარი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი წერეთელმა გახსნა. სემინარს ესწრებოდნენ პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე ოთარ თოიძე, პარლამენტის წევრი მაგდა ანიკაშვილი, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ტამარ ხომასურიძე საზოგადოების მობილიზაციის მრჩეველი, გაეროს ერთიანი პროგრამა აივ/შიდსზე ლია თავაძე..

როგორც გაეროს ფონდში აცხადებენ, შიდსთან ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის თანამედროვე მსოფლიოში. ამ კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია პარლამენტის წევრების და აპარატის თანამშრომლების ჩართულობა, მათი ინფორმირებულობის გაზრდა, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემოს დახვეწა აღნიშნული პრობლემის დაძლევად და ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევად.

**ინტერპრესნიუსი**

# 26 მაისთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს

არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე“ და ქალთა სამოქალაქო მოძრაობა „თამარიონი“ დღეს პარლამენტის ოპოზიციური ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ წევრებს საგანგებო მიმართვას გადასცემს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აღნიშნული ორგანიზაციებიდან აცნობეს, ისინი 2011 წლის 26 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ.

დღესვე გაიმართება ფრაქციის გაფართოებული შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან, სადაც დაიგეგმება 26 მაისის საკითხის საჯარო განხილვა საქართველოს პარლამეტში საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

**ინტერპრესნიუსი**

# აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლებამოსილებები ეზრდება

აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლებამოსილებები ეზრდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში შედის. კანონპროექტით, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილი ხდება დადოს ხელშეკრულებები, ისარგებლოს მესამე პირთა მომსახურებით და შეასრულოს სხვა მოქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების განხორციელებას. კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ არის განმარტებული, თუ რა იგულისხმება „სხვა მოქმედებებში“. კანონპროექტის ავტორი იუსტიციის სამინისტროა, ინიციატორები კი დეპუტატები ზვიად კუკავა და ანდრო ალავიძე არიან.

**ინტერპრესნიუსი**

# გრიგოლ ვაშაძე ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ბაქოს ეწვევა


გრიგოლ ვაშაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე 26 ოქტომბერს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ბაქოს ეწვევა.

ოფიციალური ვიზიტის დეტალები გუშინ გრიგოლ ვაშაძემ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, აზერ ჰუსეინმა საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრისას განიხილეს.

საგარეო უწყების ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობების აქტუალურ საკითხებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ლიბიის მოსახლეობა მუამარ კადაფის გარდაცვალებას ზეიმით შეხვდა

ლიბიის მოსახლეობა ქვეყნის ყოფილი ლიდერის, მუამარ კადაფის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას ზეიმით შეხვდა, – ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება. ქალაქ სირტში გადაღებულ კადრებში ასახულნი არიან ლიბიის გარდამავალი ნაციონალური საბჭოს ჯარის სამხედროები, რომლებმაც ეს ინფორმაცია სიხარულის შეძახილებითა და ჰაერში სროლით მიიღეს.

კადაფის გარდაცვალების გამო სიხარულის გამოსახატად ლიბიის სხვა ქალაქების მოსახლეობაც ქუჩებში გავიდა. ტრიპოლის ქუჩებში საზეიმო სროლა მიმდინარეობს და ხალხი სკანდირებს: „ღმერთი დიდია, კადაფი შეპყრობილია“.

მსოფლიოს ტელეარხებმა უკვე გაავრცელეს მობილური ტელეფონით გადაღებული გარდაცვლილი კადაფის პირველი ფოტოები.

**ინტერპრესნიუსი**

# საგანგებო სამსახურების ნუმერაციის და სხვა მოკლე ნომრები იცვლება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართება საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებში ნუმერაციის ეროვნული სისტემის დანერგვის სამუშაოთა კოორდინაციის კომისიის გაფართოებული სხდომა.

როგორც საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში აცხადებენ, სამინისტროს მიერ წამოწყებული რეფორმა კავშირგაბმულობის დარგში, რომელიც ეხება ქვეყნის სატალეფონო ნუმერაციის ახალ ევროპულ სტანდარტებზე გადაყვანას, წარმატებულად მიმდინარეობს. ნოემბრის დასაწყისში დაგეგმილია აღნიშნული რეფორმის მე-3 ფაზის განხორციელების დაწყება, კერძოდ ქვეყნის ფიქსირებულ ადგილობრივ და მობილურ სატელეფონო ქსელებში მოქმედი 0X(X) ფორმატის მოკლე ნომრები შეიცვლება 1XX(XXX) ფორმატის მოკლე ნომრებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიცვლება ექსტრემალური (საგანგებო) სამსახურების ტელეფონების არსებული მოკლე სპეციალური ნომრები და ისინი შემდეგი სახის იქნებიან: სახანძრო – სამაშველო სამსახურის ტელეფონების ნომრები – 01 და 011, შეიცვლება ნომრით – 111; სასწრაფო სამედიცინო დახმარების ტელეფონების ნომრები 03 და 033, შეიცვლება ნომრით – 113; გაზის საავარიო სამსახურის ტელეფონის ნომერი – 04, შეიცვლება ნომრით -114; საპატრულო პოლიციის ტელეფონის ნომერი – 022, შეიცვლება ნომრით – 122; დაცვის პოლიციის ტელეფონის ნომერი – 025, შეიცვლება ნომრით – 125.

ექსტრემალური (საგანგებო) სამსახურების გამოსაძახებლად ფიქსირებული ადგილობრივი და მობილური სატელეფონო ქსელების აბონენტების მიერ იკრიფება მხოლოდ გამოსაძახებელი სამსახურების მოკლე სპეცნომრები. (სახანძრო-სამაშველო სამსახური-111, სასწრაფო სამედიცინო დახმარება-113, გაზის საავარიო სამსახური-114, საპატრულო პოლიცია -122, დაცვის პოლიცია-125).

შეიცვლება ყველა სხვა ორგანიზაციების და სამსახურების ტელეფონების მოკლე ნომრები, რომლებიც ციფრი „0“ -ით ან ციფრი „8“-ით იწყება, მათი და 1XX(XXX) ფორმატის ნომრების მქონე სხვა და სხვა ორგანიზაციების და სამსახურების გამოძახების წესი შემდეგი იქნება: იმ შემთხვევაში, თუ გამოსაძახებელი სამსახური ან/და ორგანიზაცია, ფიქსირებული ადგილობრივი და მობილური სატელეფონო ქსელების აბონენტები ერთი და იგივე ქალაქის ან/და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობენ, სატელეფონო ქსელების აბონენტების მიერ იკრიფება მხოლოდ გამოსაძახებელი სამსახურის მოკლე ნომერი;

იმ შემთხვევაში, თუ გამოსაძახებელი სამსახური ან/და ორგანიზაცია და ფიქსირებული ადგილობრივი და მობილური სატელეფონო ქსელების აბონენტები სხვა და სხვა ქალაქის ან/და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობენ, სატელეფონო ქსელების აბონენტების მიერ იკრიფება პრეფიქსი „8“, იმ ქალაქის კოდი, სადაც გამოსაძახებელი სამსახური მდებარეობს და გამოსაძახებელი სამსახურის ნომერი.

**მედიანიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

დალი, ირინე, ინა, ვახტანგ გაჩეჩილაძეები მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, თეატრისა და კინოს ლეგენდარული მსახიობის

**რამაზ ჩხიკვაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მსახიობის

**რამაზ ჩხიკვაძის**

გარდაცვალების გამო.

რამაზ ჩხიკვაძე იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი მასშტაბით გასცდნენ საქართველოს საზღვრებს და საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. მსოფლიო თეატრალურ სამყაროს გამოაკლდა ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი. საქართველომ კი დაკარგა ქართულ ფესვზე და ტრადიციაზე უზომოდ შეყვარებული, ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, შესანიშნავი ქართველი.

რამაზ ჩხიკვაძემ შექმნა მთელი ეპოქა და უკვე სიცოცხლეშივე დაიკავა ღირსეული ადგილი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის საგანძურში და, რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი დიდი ხელოვანი ჩვენ გვერდით აღარ არის.

„დემოკრატიული მოძრაობა“ უსამძიმრებს ბატონი რამაზ ჩხიკვაძის ოჯახს, ახლობლებსა და მთელ ქართველ საზოგადოებას ამ მძიმე დანაკლისის გამო.

ანზორ ბურჯანაძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მსახიობის,

**რამაზ ჩხიკვაძის**

გარდაცვალების გამო.

რამაზ ჩხიკვაძე იყო არა მარტო დიდი მსახიობი, არამედ იყო საუკეთესო მეგობარი, რომელიც ძალიან დაგვაკლდება. ის იყო ნაღდი პატრიოტი, სამშობლოზე და ყველაფერ ქართულზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, რომელმაც შექმნა მთელი ეპოქა მსოფლიო თეატრალურ სამყაროში. რამაზის მიერ შესრულებული როლები მის სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად და, რაც ყველაზე მთავარია, მან თავისი მოღვაწეობითა და ცხოვრებით ქართველი მსახიობის სახე შექმნა.

მეტად მტკივნეულია იმასთან შეგუება, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ამ შესანიშნავ მოვლენას საზოგადოება და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ჩვენი მომავალი თაობა მისი მშობლიური რუსთაველის თეატრის სცენიდან ველარ იხილავს.

რამაზის სახით მსოფლიო თეატრალურმა ხელოვნებამ – უდიდესი მსახიობი, მისმა სამეგობრომ კი ერთგული და გულითადი მეგობარი დაკარგა.

სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მსახიობის,

**რამაზ ჩხიკვაძის**

გარდაცვალების გამო.

რამაზ ჩხიკვაძე იყო ადამიანი, რომელმაც ეპოქა შექმნა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებაში.

სამწუხაროა, რომ ისეთი გენიოსი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, როგორიც ბატონი რამაზი იყო, დღეს ცოცხალი აღარაა, თუმცა, მის მიერ შესრულებულმა როლებმა მას დიდი ხანია უკვდავება მოუტანა.

Mრამაზის სახით მსოფლიო თეატრალურმა ხელოვნებამ – უდიდესი მსახიობი, მისმა სამეგობრომ კი ერთგული და გულითადი მეგობარი დაკარგა.

სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო თანაუგრძნობს რამაზ ჩხიკვაძის ახლობლებს მსახიობის გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 21 ოქტომბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **11.55 რაგბი.** მსოფლიო თასი. ბრძოლა მე-**3** ადგილისთვის **14.00** ფოქ-შოუ "არენა" **15.00** სერიალი **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **16.00**, **20.00** მოამბე **17.00** ავტოპილოტი **18.00** ან. ფილმი "ადამიანი ობობა" **19.05** სერიალი **"მისამართი უცნობია"** **21.00** სერიალი **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** კავკასუს ლაივი **00.00** წითელი ზონა **01.00** დოკ. ფილმი **"სახლი"** **02.45** მოამბე **03.05** სერიალი **"ზიანი"** (**12**) **04.05** მხ. ფილმი **"ამერიკელი ჟიგოლო"** (**15**)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **14.45**, **17.45**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00**, **16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00**, **01.00** სერიალი **"ზიანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ხატი"** **02.00** მხ. ფილმი **"ბიძაშვილები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"როსალინდა"** **11.00** სერიალი **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერიალი **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ ბესტი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** სერიალი **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"ევა ლუნა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** თოქ-შოუ **00.20** ლიდერი **01.20** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფილმი **"კასაბლანკა"** (ი. ბერგმანი) (სუბტ.) **04.00** მხ. ფილმი **"ნედ კელი"** (**12**) (ჰ. ლეჯერი) (სუბტ.) **06.30** სერიალი **"მარინა"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა 3"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერიალი **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"სოპრანოს კლანი"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერიალი **"მხოლოდ შენ"** **15.15** სერიალი **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "სარფი მოლენა" **11.25** გამოყენებითი ხელოვნება **11.35** აქტუალური თემა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მაციხვარში ვილაც იჯდა"** **13.25** კონცერტი – ანიტა რაჭველიშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ვალსი პეჩორაზე"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"მაისის თოვლი"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.35** დოკ. ფილმი "სარფი მოლენა" მე-2ნ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ტაო-კლარჯეთი" მე-4-5ნ. **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 ოქტომბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო — 2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

## ამინდის პროგნოზი 21 ოქტომბრისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16–18, ღამით — 6–11

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13–16, ღამით — 7–14

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–16, ღამით — -2–6







გაზეთ „ახალი თაობის“

17 ოქტომბრის ნომერთან ერთად გაიყიდება

„ქართული მწერლობის საუნჯის“

მესამე ტომი



ვეფხისტყაოსანი

ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!


## რაგბის სამყარო საუკეთესოს ელოდება



რაგბის საერთაშორისო საბჭომ ექვსი მორაგბის ვინაობა გამოაქვეყნა, რომელთაგან ერთ-ერთი 2011 წლის საუკეთესო მოთამაშე გახდება.

წლის საუკეთესო მორაგბის გამოვლენისას ყურადღება ექცევა ამ სპორტსმენების თამაშს ექვსი ერისა და სამი ერის გათამაშებებში, ასევე საერთაშორისო ტესტ-მატჩებში, წელს კი, ბუნებრივია, უმთავრეს ყურადღებას ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიო თასი იპყრობს. ექვსეულში სულ სამი ნაკრების წარმომადგენელი მოხვდა. გასაკვირი არ არის, რომ ნომინანტთა ნახევარს „ოლ ბლექსელები“ წარმოადგენენ — ახალი ზელანდია მსოფლიო თასის უპირობო ფავორიტად მიიჩნევა. ნომინანტთა შორის კიდევ ერთი ფინალისტია — ფრანგი ტიერი დიუსატუა, ხოლო კიდევ ორი მორაგბე ავსტრალიის ნაკრებიდანაა.

ირბ წლის საუკეთესო მორაგბეს 2001 წლიდან ასახელებს. წლევანდელი გამარჯვებული მსოფლიო თასის დასრულების მეორე დღეს, 24 ოქტომბერს გახდება ცნობილი:

2011 წლის საუკეთესო მორაგბის კანდიდატთა სია: ტიერი დიუსატუა (საფრანგეთი), პირი ვეეპუ, ჯერომი კაინო, მაა ნონუ (სამივე ახალი ზელანდია), უილ გენია, დევიდ პოკოკი (ორივე ავსტრალია).

შეგახსენებთ იმასაც, რომ ერთადერთი მორაგბე, რომელსაც საუკეთესოს ტიტული 2-ჯერ და მეტჯერ დაუმსახურებია, ახალზელანდიელი რიჩი მაკქოუა.

გასული 10 წლის გამარჯვებულები: 2010, 2009, 2006 – რიჩი მაკქოუ (ახალი ზელანდია), 2008 – შეინ უილიამსი (უელსი), 2007 – ბრაიან ჰაბანა (სამხრეთ აფრიკა), 2005 – დენ კარტერი (ახალი ზელანდია), 2004 – შალკ ბურგერი (სამხრეთ აფრიკა), 2003 – ჯონი უილკინსონი (ინგლისი), 2002 – ფაბიენ გალტიე (საფრანგეთი), 2001 – კეით ვუდი (ირლანდია).

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი 21 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. ტყუპები — პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ. **კირჩხიბი** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ფულის პრობლემა არ გექნებათ, მთავარია საქმე ბოლომდე მიიყვანოთ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **მერწყული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თევზები** — თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემები არ გაქვთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## თემურ წიკლაური იუბილარია

ეკა ირემაშვილი



ანსამბლ „ივერიის“ ერთ-ერთი გამორჩეული წევრი, მომღერალი თემურ წიკლაური იუბილარია. მას 65 წელი შეუსრულდა, ამიტომ ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით 4 ნოემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში სოლოკონცერტს გამართავს. 65 წლის იუბილესთან ერთად ანსამბლ „ივერიის“ უცვლელი წევრი სცენაზე მოღვაწეობის 45 წლის იუბილესაც აღნიშნავს, ამიტომ მონატრებულ მსმენელს განსაკუთრებული მონდომებით ელოდება.

თუ რა სიახლეები ელოდება მომღერლის თაყვანისმცემელთა დიდ არმიას, რა სიურპრიზებს შესთავაზებს დიდ საკონცერტო დარბაზში მისულ საზოგადოებას მომღერალი, ამის შესახებ მან ჟურნალისტებისთვის „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში დაწვრილებით ისაუბრა.

თემურ წიკლაურის საიუბილეო სოლოკონცერტის მთავარი რეჟისორი შოუბიზნეს ცენტრ „ლომისის“ ხელმძღვანელი, ასევე ივერიელი ჯემალ ბაღაშვილია. პრესკონფერენციაზე ხელოვანებმა მასმედიის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნეს ინფორ-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. რეგიონი კახეთში; 3. სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. უკიდურესი, გადამწყვეტი მოქმედების მომხრე ადამიანი; 7. ხვლიკის მსგავსი ცხოველი, რომელიც კანის ფერს იცვლის; 8. საგანგებოდ გამართული ნადიმი; 12. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 14. ნათურების დასამზადებლად გამოყენებული ძნელად დნობადი ლითონი; 16. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 17. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 19. ერთ-ერთი კონტინენტი; 20. ბებერი თხა.

**თარაზულად**: 5. ლერწმისგან დამზადებული ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. საეკლესიო წესით ქორწინება; 9. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 10. მცენარის ნორჩი ტოტი; 11. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. მზის სისტემის პლანეტა; 15. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 18. ბერების საცხოვრებელი ოთახი მონასტერში; 21. უკიდურესი გატაცება რაიმე საქმით, იდეით; 22. ნელი, ზომიერი მუსიკალური ტემპი; 23. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## იუმორი



— მამაკაცის ყველაზე მთავარი ორგანო საფულეა...

***

— მეორე დიპლომის აღების შემდეგ შევამჩნიე, რომ მათემატიკაში პრობლემები მქონდა.

— ალბათ, გადაიღალე.

— არა, მაგრამ, შევატყვე, მგონი, დიპლომში ზედმეტი გადავიხადე...

***

— რით განსხვავდება ახალგაზრდა სპეციალისტი გამოცდილისაგან?

— ახალგაზრდამ მუშაობა არ იცის, გამოცდილმა იცის, როგორ აარიდოს თავი სამუშაოს...

***

— იცი, შენს ცოლს რომ ვხედავ, ყოველთვის მიხარია ხოლმე.

— რა გიხარია?

— რომ ჩემი ცოლი არ არის...

***

— დედა, შენ რა, შავ სიაში ჩამრიცხე?

— შენგან სულ სპამი მოდიოდა.

— რა სპამი?

— რა და, „ანგარიშზე გადმომირიცხე“, „ახალი ქურთუკი მინდა“, „ხვალისთვის კინოს ფულს მომცემ“...

გ. თ.

## რომელ სტიქიას ემორჩილებით

ტესტი



***1. შაბათს საღამოს თქვენს ფანჯარაზე ჩიტი შემოჯდა. როგორ მოიქცევით?***

ა. მისი ცქერით დატკბებით. ბ. შეეცდებით, დაიჭიროთ. გ. ჩიტად ქცევას მოინდომებთ. დ. პურის ნამცეცებს დაუყრით.

***2. ღამით გესიზმრათ, რომ მკვლელობის მოწმე ხართ. სად?***

ა. ამაზონის ჯუნგლებში. ბ. მთის მწვერვალზე. გ. „აღმოსავლეთის ექსპრესში“. დ. ვენეციაში.

***3. დილით კარზე ზარმა გაგაღვიძათ. ვინ შეიძლება იყოს?***

ა. უცნობი. ბ. მეგობარი. გ. ფოსტალიონი. დ. მეზობელი.

***4. სტუმრის გასტუმრების შემდეგ კიბის ბაქანზე მოულოდნელად აღმოაჩინეთ:***

ა. დანა, ბ. 10 ლარი. გ. ფლეიერი. დ. კნუტი.

***5. რას ელოდებით ამ ნაპოვნისგან?***

ა. ბედნიერებას. ბ. უბრალო შემთხვევითობაა. გ. არაამქვეყნიური ძალების ნობათია. დ. უბედურებას.

***6. საბნის ქვეშ ჩაყვინთეთ, ფერია გამოგეცხადათ და გადაგაქციათ:***

ა. ცხენად. ბ. ჭიანჭველად. გ. მერცხლად, დ. კიბორჩხალად.

***7. ფერიას გარეგნობა აღარ გახსოვთ, დაგამახსოვრდათ მხოლოდ მისი:***

ა. ქერა თმა. ბ. ჩამოსხმული ხელები. გ. სავსე ტუჩები. დ. ცისფერი თვალები.

***8. ტელეფონის ზარი გაღვიძებთ. გირეკავთ:***

ა. უცნობი, რომელმაც შეცდომით აკრიფა ნომერი. ბ. შეფი. გ. ტელეფონი გაითიშა. დ. ნათესავი.

***9. შინ ბრუნდებით. სახლის ეზოში ხედავთ:***

ა. ცნობილ მსახიობს. ბ. მეზობელს. გ. ადამიანს, რომელიც ტყუპისცალივით გგავთ. დ. მოთამაშე ბავშვებს.

### პასუხები

**პასუხებში თითოეული ვარიანტის რაოდენობის მიხედვით:**

**ა.** თქვენი სტიქიაა ცეცხლი. დაუფიქრებლად ეშვებით თავგადასავლების მორევში, არ ფიქრობთ შედეგებზე, ხართ მგრძნობიარე, ფეთქებადი, საყვარელ ადამიანს ათასებიდან გამოარჩევდით.

**ბ.** თქვენი სტიქიაა მიწა. ძალიან აფასებთ გრძნობად სიამოვნებას, იცით, როგორ მიიღოთ იგი, მაგრამ თავს არ კარგავთ, ამ დროს ფრთხილად მოქმედებთ.

**გ.** თქვენი სტიქიაა ჰაერი. თავგადასავლების წინააღმდეგი არ ხართ, მაგრამ თავად არ ეძებთ მათ. სიყვარულს არ ეხუმრებით, ცდილობთ, მიაღწიოთ ბალანსს მოვალეობასა და თავისუფლებას შორის.

**დ.** თქვენი სტიქიაა წყალი. ოცნებობთ იდეალურ, ნაზ სიყვარულზე, ხართ რომანტიკული, ყველას ხიბლავთ ანგელოზური გარეგნობით, რეალობა კი გულს გწყვეტთ. ოცნებები თქვენი თავშესაფარია.

გ. თ.